# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 17 აგვისტო 2007 №189 (3112) ფასი 50 თეთრი

# სარკე!

## რა მოხდა დინამოს გასახდელში?




## რაღა დაგვრჩა ევროპაში? ექსკურსია ავსტრიაში!

# სეგრტი კლუბებს გაუწყრა

## ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პრობლემებში ჩაიძირა

ევროპის 2009 წლის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 22 აგვისტოს პოლონელ თანატოლებს შეხვდება. ამ ჯგუფში კიდევ სამი გუნდია — ესპანეთი, რუსეთი და ყაზახეთი. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა, საქართველო ესპანეთთან 0:1 დამარცხდა. ამიტომ პოლონურ შეხვედრას ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. გუშინ ახალგაზრდული ნაკრების ხორვატმა მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯერ 19-წლამდელებს მიულოცა აზერბაიჯანთან გუშინწინდელი გამარჯვება, შემდეგ კი პოლონელებთან მომავალ მატჩზე ისაუბრა...



— საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შეხვედრა აზერბაიჯანელებთან ფეხბურთის ფედერაციამ ჩვენი თხოვნით გამართა. 19-წლამდელთა ნაკრებში 10 ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც არიან. აქედან გამომდინარე, მიხვდებით, რა ახალგაზრდული გუნდით მივდივართ სათამაშოდ. ამას გარდა, გვაკლია გუნდის ძირითადი ბირთვის — ჯაბა კანკავა, ნუკრი რევიშვილი, მირზა ბჟალავა, ბესიკ ჩიმაკაძე, რატი წინამძღვრიშვილი, რევაზ თევდორაძე, ლევან მჭედლიძე. იმედი მაქვს, ეს ფეხბურთელები მალე გამოჯანმრთელდებიან და მომდევნო მატჩებში დაგვეხმარებიან...

...დანაკლისის მიუხედავად, პოლონელების არ გვეშინია. ჩვენ გვყავს 30 ფეხბურთელი, რომელთაც შეუძლიათ, ერთმანეთი სრულფასოვნად შეცვალონ, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ კლუბებს ჩვენთან თანამშრომლობა არ უნდათ — კლუბები ფეხბურთელებს ნაკრებში არ უშვებენ. იანვარში „ამერმა" შეიკავა თავი, ტრაპიზონში „დინამომ" არ გამოუშვა, ახლა კი „ზესტაფონმა". 19-წლამდელებში გვინდოდა გვენახა „ზესტაფონის" ფეხბურთელები, მაგრამ კლუბმა არ მოგვცა ამის საშუალება. არადა, ისინი თავიანთ გუნდებშიც იშვიათად თამაშობენ. მე მაქვს 10 ფეხბურთელის გვარი, რომლებიც არ თამაშობენ — ბექა გოცირიძე, ამირან სანაია, რომელსაც თავისუფლად ვუწოდებ ქართული ფეხბურთის მომავალს, უჩა ლობჟანიძე საუკეთესო იყო ნაკრების შეხვედრებში და უგუნდოდაა, იგივე მურთაზ დაუშვილი, დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია... იცით, რატომ არის ლევან ყენია გამორჩეული? იმიტომ, რომ სისტემატურად თამაშობს თავის გუნდში. საქართველოში ათი ყენიასნაირი ფეხბურთელი მოიძებნება...

...მე ბევრ ენაზე ვლაპარაკობ, მაგრამ მინდა, ყველას საფეხბურთო ენაზე ველაპარაკო — ნაკრები უნდა იყოს ძლიერი და ეს მაშინ მოხდება, თუ ფედერაცია და კლუბები ერთმანეთთან ითანამშრომლებენ. თუ ასე გაგრძელდა, ტყუილია, რამე შედეგზე ვიფიქროთ... მომავლისთვის საჭიროა ყველა ერთად ვიდგეთ, რათა რამეს მივაღწიოთ...

...შარშან შეხვედრა გვქონდა ყველა კლუბის ხელმძღვანელობასთან, სადაც აღიარეს, რომ ერთი გუნდი ვართ, მაგრამ შემდეგ სხვაგვარად მოიქცნენ. ახლო მომავალში დავსხდებით და თანამშრომლობის მემორანდუმს მოვაწერთ ხელი...

...პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში ლეგიონერები თითქმის არ არიან, მაგრამ ვიცით, რომ ისინი თავიანთ ქვეყანაში მუდმივად თამაშობენ. „შალკეს" ფეხბურთელის, მესუტ იოზილის მაგალითზე ვიტყვი — როდესაც გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებს შეკრება ჰქონდა, კლუბმა უპრობლემოდ გაუშვა, ისინი სანაკრებო ინტერესებს უფრო წინ აყენებენ. ჩვენთან კი ამას ვერ ვგრძნობ...

...ეს პრობლემა ქართულ გუნდებსაც ეტყობათ. საუკეთესო ქართული გუნდები ყაზახურ გუნდებთან აგებენ, „ვადუცთან" შიშით გადიან სათამაშოდ. რამე გზა უნდა მოიძებნოს — კიდევ რამდენი დრო უნდა დაკარგოს საქართველომ? მაპატიეთ, რომ აღელვებული ვარ, მაგრამ იცოდეთ, მეც ქართველად ვთვლი თავს და იმიტომ ვნერვიულობ...

*ამის შემდეგ სეგრტმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა:*

— რა იცით მეტოქე გუნდის შესახებ?

— ჩვენ ჯერ მათი ორი თამაში გავარჩიეთ. ვიცით, რომ კარგი მწვრთნელი ჰყავთ, რა ტაქტიკით თამაშობენ. ასე რომ, მათზე ინფორმაცია კი გვაქვს, მაგრამ მთავარია, ჩვენ როგორ მივალთ ამ თამაშამდე. ცუდია, რომ ფეხბურთელები გვაკლია, ბევრი უთამაშებელია, მაგრამ მჯერა, რომ სასურველ შედეგს მივაღწევთ.

— გუნდში როგორი განწყობაა?

— ესპანეთთან ყველამ დაგვანახა, რომ ბრძოლა შეუძლიათ. გუნდში ახლაც ასეთი განწყობაა. მიხარია, რომ ასეთ გუნდთან ვმუშაობ. დარწმუნებული ვარ, მოედანზე ყველა 100 პროცენტით დაიხარჯება.

— ესპანეთთან მატჩისგან განსხვავებით, ნაკრებში არ გამოიძახეთ აკაკი ხუბუტია, ვლადიმერ დვალიშვილი და ვახტანგ კვარაცხელია...

— ხუბუტიას ადგილზე დიდი კონკურენციაა — მათე ღვინიანიძე, გურამ კაშია, გიორგი ფოფხაძე, უჩა ლობჟანიძე, ზურაბ გვაძაბია... ამიტომ ამ დროისთვის მისი გამოძახება საჭიროდ არ ჩავთვალეთ.

რაც შეეხება კვარაცხელიას და დვალიშვილს — ეს სუფთა სათამაშო სტილიდან გამომდინარე მოხდა. პოლონეთთან ტაქტიკურ მონახაზში უფრო ისეთი თავდამსხმელი მჭირდება, როგორიც გიორგი ჭელიძეა. მას დაცვაზე ფიქრიც შეუძლია. არ იფიქროთ, რომ იმ ფეხბურთელებისთვის, რომელიც ამ მატჩისთვის არ გამოვიძახეთ, ნაკრების კარი დაკეტილია. ესპანეთთან და ყაზახეთთან ალბათ მათაც მივცემთ თავის გამოჩენის შანსს. ისედაც გვინდა, ტაქტიკური მონახაზი 4-3-3-ზე გადავაწყოთ და მაშინ მეტი თავდამსხმელი დაგვჭირდება.

— რა იცით ბარაბაძეზე?

— ბარაბაძეზე კარგი წარმოდგენა მაქვს. ამ სტილის თავდამსხმელი საქართველოს არ ჰყავს. მის გუნდთან, „კარლ ცაისთან" კონტაქტი მაქვს და კარგად მიხასიათებენ. თავადაც ნახეთ, 20 წუთში ესპანელებს რა პრობლემები შეუქმნა. 90 წუთით სათამაშოდ მზად არ არის, მაგრამ საჭიროა.

საპოლონეთოდ სეგრტმა 22 ფეხბურთელი შეარჩია:

*მეკარეები: გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე (ორივე დინამო);*

*მცველები: დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია (ორივე ამერი), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გურამ კაშია (დინამო), უჩა ლობჟანიძე (უგუნდოდ);*

*ნახევარმცველები: შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გიორგი მერებაშვილი, სანდრო კობახიძე (ორივე დინამო), კახა მახარაძე (ბათუმი), ალექსი ბენაშვილი, ამირან სანაია, მურთაზ დაუშვილი (ყველა ზესტაფონი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), ლევან ყენია (ლოკომოტივი);*

*თავდამსხმელები: გიორგი ჭელიძე, ბექა გოცირიძე (ორივე ზესტაფონი), რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია)*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## უეფას თასი 2007-2008

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი, პირველი მატჩები

**ზლატე მორავცე (სლოვაკეთი) 0:2 ზენიტი (რუსეთი)**
0:1 პაგენი (38), 0:2 იონოვი (90)

**ლოკომოტივი (სოფია, ბულგარეთი) 3:1 ოცელული (რუმინეთი)**
1:0 დაჟჩევი (19), 2:0 ბალდოვალიევი (62), 2:1 სემეგინი (74), 3:1 ძლასი (84)

**კლუჟი (რუმინეთი) 1:3 ანართოსისი (კვიპროსი)**
0:1 ზლოგარი (42), 0:2 ბოავენტურა (49), 0:3 სოხინი (60), 1:3 ტრიკა (70პ)

**რაბოტნიჩკი (მაკედონია) 0:0 პარტიზანი (სერბეთი)**

**სლავენი (ხორვატია) 1:2 გალათასარაი (თურქეთი)**
1:0 პოსავეცი (13პ), 1:1 აკმანი (42), 1:2 იამანი (72)

**ლეირია (პორტუგალია) 0:0 მაკაბი (ნეთანია, ისრაელი)**

**ჰაიდუკი (ხორვატია) 0:1 სამპდორია (იტალია)**
0:1 კამპანარო (44)

**ბესა (ალბანეთი) 0:3 ლიტექსი (ბულგარეთი)**
0:1, 0:2 პოპოვი (13, 20), 0:3 ბეტო (32)

**მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 1:1 ერჯიესი (თურქეთი)**
0:1 ოზბაი (5), 1:1 კამანანი (42)

**ატლეტიკო (ესპანეთი) 3:0 ვოივოდინა (სერბეთი)**
1:0 როდრიგესი (36), 2:0 ფორლანი (61), 3:0 აგერო (70)

**შიროკი ბრიეგი (ბოსნია) 0:3 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)**
0:1 აბდაჯი (14), 0:2 ახულინი (32), სანტოსი (74)

**ომონია (კვიპროსი) 1:1 ცსკა (სოფია, ბულგარეთი)**
0:1 ნეი (1), 1:1 კაიაფასი (14)

**ბაზელი (შვეიცარია) 2:1 მატერსბურგი (ავსტრია)**
0:1 ნაკატა (20ს.კ.), 1:1 ერგიჩი (24), 2:1 საისედო (54)

**რიდი (ავსტრია) 1:1 სიონი (შვეიცარია)**
1:0 დოსპელი (68), 1:1 საბორიო (90)

**მიკა (სომხეთი) 2:1 არტმედია (სლოვაკეთი)**
1:0 შახგელდიანი (8), 1:1 ფოდრეკი (66), 2:1 ალექსი (80)

**დნიპრო (უკრაინა) 1:1 ბელხატუვი (პოლონეთი)**
0:1 უიკი (16), 1:1 ნაზარენკო (80)

**ჰონვედი (უნგრეთი) 0:0 ჰამბურგი (გერმანია)**

**იანგ ბოისი (შვეიცარია) 1:1 ლანსი (საფრანგეთი)**
1:0 ტიაგო (70), 1:1 მონტერუბიო (74)

**ტობოლი (ყაზახეთი) 0:1 გროცლინი (პოლონეთი)**
0:1 მუჟალიკი (2)

**აუსტრია (ავსტრია) 4:3 იაბლონეცი (ჩეხეთი)**
1:0 ერტლი (9), 2:0 კულიჩი (21), 2:1, 2:2 ზელენკა (28, 35), 3:2 ლასნიკი (47), 4:2 კულიჩი (66), 4:3 ბარანეკი (76)

**მიუპა (ფინეთი) 0:1 ბლექბერნი (ინგლისი)**
0:1 სანტა კრუზი (5)

**დროჰედა (ირლანდია) 1:1 ჰელსინგბორგი (შვედეთი)**
0:1 ლარსონი (34), 1:1 ზაიედი (54)

**მეტალურგსი (ლატვია) 3:2 აიკ (შვედეთი)**
1:0 კარლსონსი (12), 2:0 ოვანოვსი (44), 2:1 ივანოვსი (49ს.კ.), 2:2 ვალდემარინი (61), 3:2 ტამოსაუსკასი (80)

**ჰიკ (ფინეთი) 2:1 ოლბორგი (დანია)**
1:0 სამურა (15), 1:1 რისგორდი (37), 2:1 სამურა (55)

**ეკრანასი (ლიტვა) 1:1 ვოლერენგა (ნორვეგია)**
1:0 პოგრებანი (45პ), 1:1 სანტოსი (77)

**დანფერმლაინი (შოტლანდია) 1:1 ჰეკენი (შვედეთი)**
1:0 ჰამილტონი (1), 1:1 ჰენრიკსონი (57)

**ბრანი (ნორვეგია) 2:1 სუდუვა (ლიტვა)**
1:0 ბიორნსონი (24), 2:0 ვინტერსი (48), 2:1 ნიგრეიროსი (56პ)

**ჰაკა (ფინეთი) 1:2 მიდტიულანდი (დანია)**
0:1, 0:2 კრისტენსენი (13, 43), 1:2 პარვიაინენი (50)

**დინამო (მინსკი, ბელარუსი) 1:1 ოდენსე (დანია)**
1:0 პუტილო (73), 1:1 ლაურსენი (90)

**კაერიენგი (ლუქსემბურგი) 0:3 სტანდარდი (ბელგია)**
0:1 მბოკანი (58), 0:2, 0:3 ვიტსელი (80, 85)

**ჰამარბი (შვედეთი) 2:1 ფრედრიკსტადი (ნორვეგია)**
1:0 გუარა (35), 2:0 კასტრო-ტელო (51), 2:1 კვისვიკი (75)

### ინგლისი

კონფერენსლიგა. II ტური
კემბრიჯი 2:1 ოქსფორდი

ლიგის თასი. I ეტაპი
როტენჰემი 1:3 *უენსდი*

### საფრანგეთი

I დივიზიონი. III ტური
ნანსი 2:1 ნიცა

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVIII ტური
ოულუ 2:1 ლაჰტი
ინტერი 5:2 იარო
მარიეჰამნი 0:0 ჰონკა

### ირლანდია

თასი. III ეტაპი
დანდალკი 1:2 *დუბლინი*

### შვედეთი

ალსვენსკა. XVIII ტური
გიოტებორგი 1:1 იურგორდენი

სუპერეტა. XX ტური
იოსტერსი 2:3 იორგრიტე

### ისლანდია

პრიმერადივიზიონი XIII ტური
აკრანესი 0:2 ფილკირი
ჰაფნარფიორდური 3:3 ფრამი
კოპავოგური 2:1 კეფლავიკი
ვალური 2:2 ბრეიდაბლიკი
ვიკინგური 1:0 რეიკიავიკი

### ამხანაგური მატჩები

ხიმნასტიკი 0:2 ბილბაო
ესპანიოლი 3:2 ოლიმპიაკოსი
სარაგოსა 1:1 (პ3:4) ბეტისი

# უეფას თასი 2007-08. II ეტაპი. პირველი მატჩი



# სიცხე 0:3 რაპიდი

## ბოთლებით დაფყებული კოშმარი

ილია ნანობაშვილი

**ღმერთო ჩემო**, არ ვიცოდეთ მაინც, რომ ვენის „რაპიდი“ ევროპის საშუალო ავსტრიის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა. ვიცით და მაგას ვჩივით, თორემ რომ არ გვცოდნოდა, ვიფიქრებდით, ამ გუნდს უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე რა უნდა, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად უნდა იბრძოდესო.

ვენის „რაპიდს“ ტრადიციებსა და ტიტულებს ვინ დაუწუნებს, ავსტრიაში ყველაზე სახელიანი გუნდი იყო, მაგრამ ღლევანდელობა სახეზეა, თავის ქვეყანაში ჩემპიონობას სათოფეზე ვერ ეკარება...

ნუთუ ამდენად ჩამორჩენილია ქართული ფეხბურთი, რომ ამ ავსტრიის მეხუთე გუნდმა მასხარაობით და ეზოში გამოსადეგი კომბინაციებით გაიტანოს გოლები?

რას იზამ, უკვე მივეჩვიეთ, რომ ჩვენთვის ვინმე ველი კავლაკი და მარიო ბაზინა რონალდინიო და კაკა, ვენის „რაპიდი“ და კუშტანის „ტობოლი“ კი „ლივერპული“ და „ჩელსი“ არიან — ქართველების იოლად წასაქცევად ერთი მომცრო გაქანების გუნდიც კმარა...

„რაპიდის“ მწვრთნელმა პეტერ პაკულტმა ნამატჩევს თქვა, რთული თამაში იყოო, თუმც ალბათ, ირონიით ისედაც რომ არ გაემწარებინა მასპინძლები, მერე დაამატა, ცხელოდაო... სამწუხაროდ, გუშინ პაკულტის გუნდის ერთადერთი მეტოქე სიცხე იყო.

ხვატზე გაგვახსენდა: 22-ე წუთი იყო, „დინამოს“ კარისკენ საჯარიმო დაინიშნა, მაგრამ მსაჯმა... წუთშესვენება გამოაცხადა და ავსტრიელები მთელი გუნდით დაიძრნენ თავიანთ სათადარიგოთა სკამისკენ, ბოთლები დააცარიელეს, დინამოელებმაც მოითქვეს წყურვილი და თამაშის განახლებისთანავე გოლი — საჯარიმოში ჩაწოდებულს მარკუს კატცერმა თავით ბრაზილიელ ფაბიანოს უპასა, რომელსაც მცველი არ იჭერდა და ვერც დინამოელთა მეკარე დიდიე ოვონო ჩაუხტა დროულად. ოვონოს ბრალი ნაკლებად, მცველები შეცდნენ პოზიციურად — 0:1.

გოლამდე ავსტრიელებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ, მერე კი გამთამაშებელი შტეფან ჰოფმანი, მარიო ბაზინა, ფორვარდი ფაბიანო და მარცხენა გარემარბი ველი კავლაკი უფრო გალაღდნენ. „დინამომ“ მხოლოდ ერთი მომენტით უპასუხა, როცა ჟორჟ აკირემის პასის შემდეგ გიორგი მერებაშვილმა შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ პირდაპირ მეკარე ჰელგე პაიერს დაუმიზნა.

მალევე ოვონომ ფაბიანოსთან შეჯახებისას ისე იტკინა ფეხი, რომ თამაში ველარ გააგრძელა, მისმა შემცვლელმა გიორგი ლორიამ კი პირველივე დარტყმული გაუშვა: ისევ საჯარიმო, რომელიც ჰოფმანმა ოდნავ მახვილი კუთხიდან ძელასხლეტით ჩასვა კარში — 0:2.

აქ უკვე ცხადი იყო, „დინამო“ მთლად გატყდა და ტაიმის დასრულებამდე ავსტრიელებმა კიდევ ორი მომენტი გაანიავეს — ორივეჯერ თავიანთი უზუსტობით.

ეგებ დუშან უჰრინის ბიჭებსაც გაეტანათ, გურამ კაშიას დარტყმისას პაიერის მარცხად მოგერიებულ ბურთს ვინმე რომ დახვედროდა, მაგრამ...

ჯერ პირველი ტაიმი რა იყო და მეორეში ხომ მთლად გაქრა „დინამო“ — რის კომბინაცია, რის საგოლე მომენტი, ყველაფერი „რაპიდისა“ იყო და აკი მესამე გოლმაც არ დააყოვნა: ისევ ჯარიმა, ჰოფმანმა ფაბიანო მოძებნა, ამან ლამაზი პასით კავლაკი, რომელმაც ცარიელ კარში ბაზინას გაატანინა. ეს ყველაფერი ისე გაკეთდა, თითქოს „დინამოს“ ფეხბურთელების ნაცვლად „ფიშკები“ ყოფილიყო მინდორზე — 0:3.

„რაპიდის“ ფანები კი, რომლებიც მთელი 90 წუთის მანძილზე არ გაჩერებულან და ნაირნაირად მღეროდნენ, ბრაზილიური „ლამბადაც“ მიაყოლეს მესამე გოლს — მოკლედ, ყველაფერი ცხადი იყო...

მხოლოდ ის არ იყო ცხადი, სად იყო გუშინ „დინამოს“ კაპიტანი დავით დიღმელაშვილი. ჟურნალისტებისთვის დარიგებულ სამატჩო განაცხადში დიღმელაშვილი სათადარიგოებში ეწერა, მაგრამ გადაშლილი იყო და მეთვრამეტე კაცად ბორის გონჩაროვი იყო ჩასმული.

უჰრინმა ნამატჩევს გვითხრა, დიღმელაშვილთან არავითარი კონფლიქტი არ მოგვსვლია, უბრალოდ, ფეხბურთელი თვითონ მოვიდა მატჩის დაწყებამდე და გვითხრა, შეუძლოდ ვარ და ვერ ვითამაშებო... არადა, როგორც შევიტყვეთ, დიღმელაშვილი სათადარიგოებში დარჩენაზე გაბრაზებულა და... მოკლედ, სკანდალის სუნი უდის ამ ამბავს...

გუშინ დიღმელაშვილთან დაკავშირებას გვიანობამდე ვცდილობდით, თუმცა ეს შეუძლებელი გამოდგა...



თბილისი. 16 აგვისტო. 18 საათი. მიხეილ მესხი. 7 000 მაყურებელი

### დინამო 0:3 რაპიდი

0:1 ფაბიანო (22), 0:2 ჰოფმანი (37), 0:3 ბაზინა (54)

| | |
|---|---|
| დინამო: ოვონო (ლორია 37), შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი, გ. კაშია, ხმალაძე, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ფეიქრიშვილი (ხუციშვილი 78), კობახიძე (სპასოევიჩი 46), აკირემი სათადარიგონი: თომაშვილი, დობეში, ფირცხალავა, გონჩაროვი მწვრთნელი: დუშან უჰრინი | რაპიდი: პაიერი, ტოკიჩი, პატოჩკა, ტონოფერი, ჰაიკინენი (დობერი 68), ბაზინა, ჰოფმანი (ბილიჩი 68), კატცერი, კავლაკი (სარა 68), ბოშკოვიჩი, ფაბიანო სათადარიგონი: დუკბე, ჰიდენი, კულოვიცი, ედერი მწვრთნელი: პეტერ პაკულტი |

გაფრთხილება: ოდიკაძე (24), გ. კაშია (52), ტონოფერი (58), სპასოევიჩი (78), ხუციშვილი (85)

მსაჯები: ტ. მიკულსკი, პ. სადჩუკი, რ. სიეჩკა, მ. მიკოლაიევსკი (ყველა პოლონეთი)

უეფას დელეგატი: ი. დუპანოვი (ბელარუსი)

### პრესკონფერენცია

*პეტერ პაკულტი:* ცხადია, ძალიან კმაყოფილი ვარ ანგარიშით. პირველი გოლი მალე გავიტანეთ, რამაც ჩვენი გამარჯვება განაპირობა. ჰოფმანის მეორე გოლმა კი კიდევ უფრო დაგვამშვიდა და თამაში საჩვენო რიტმში წავიყვანეთ. და მაინც, ასეთი ანგარიშით მოგებას არ ველოდი. სენსაცია ხშირად მომხდარა, მაგრამ 3:0-ის შემდეგ ვალდებულნი ვართ, მომდევნო ეტაპზე გასასვლელი კარი არ ჩავიკეტოთ.

*დუშან უჰრინი:* რთულია ასეთ მატჩზე ლაპარაკი, „რაპიდმა“ აშკარად გვაჯობა. სამწუხაროდ, მეკარის იძულებითი შეცვლა მოგვიწია, რამაც დალი დაგვატყო. ოვონოს ტრავმის სერიოზულობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

–დავით ოდიკაძემ სამი ამხანაგური მატჩი ჩაატარა ნახევარდაცვის ცენტრში და დღესაც ვენდე. რაც შეეხება დაცვის შეცდომებს, ხელოვნური თამაშგარეების შექმნისას, ჩვენ ასეთი სისტემით ხშირად ვთამაშობთ, მაგრამ შეცდომები დღეს მართლაც ბევრი იყო.



# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 2 ტური



# ნაკლული ტური

## პისკოვეცის პირველი და ამერის მეორე შანსი

**საერთოდ**, ბობოლა ჩემპიონატებშიც ასეა — პირველ ტურებს ფავორიტები ცოტა ბორძიკით იწყებენ. საქართველოში პირველი სენსაცია „ამერის" მარცხი იყო „ლოკომოტივთან" და ვნახოთ, მეორე ტური თუ მოგვიმზადებს სიურპრიზს ან სიურპრიზებს.

ტური დღეს სამი მატჩით იწყება და „ამერს" პირველი ქულების მოსაპოვებლად კარგი შანსი ეძლევა, რაკიღა უმაღლეს ლიგაში ბოლო წამს შესულ გორის „დილას" მასპინძლობს. მართალია, გორელებმა „ბათუმს" სძლიეს, მაგრამ გიორგი ჩიხრაძის გუნდი გაბრაზებულია და თან ხომ შინ თამაშობს.

ზუგდიდში კი ახალ სტადიონზე პირველი მატჩია: უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „მგლები" „მერანს" დაუხვდება და, სავარაუდოდ, ახალ სარბიელზე ანშლაგი იქნება. ზუგდიდელთა გამოცდილი მეკარე აკაკი დევაძე წინა ტურში „მესხეთთან" დაშავდა და ვერ ითამაშებს. კარგი შეხვედრა უნდა იყოს, მით უმეტეს, „მგლებმაც" და „მერანმაც" ჩემპიონატი წაგებებით დაიწყეს.

გორში კობა ჟორჟიკაშვილის ცხინვალის „სპარტაკი" „ბორჯომს" შეხვდება. კურორტელებმა პირველი ტური მოგებით გადააგორეს და ვნახოთ, დღეს რას იზამენ.

შაბათის მატჩებიდან გამორჩეული ახალციხური „მესხეთისა" და „ზესტაფონის" თამაში იქნება. „მესხეთს" უმაღლეს ლიგაში დებიუტი აქვს, თანაც ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტთან თამაშობს და ძალან ბრძოლა უნდა გამოუვიდეს. ფეროელებს, სავარაუდოდ, ფორვარდი გიორგი ჭელიძეც დაეხმარება, რითაც თემურ მახარაძის გუნდის თავდასხმის ხაზი საკმაოდ მომძლავრდება.

ჩემპიონატი იხსნება ბათუმშიც, სადაც ჩემპიონი „ოლიმპი" ახალი მწვრთნელით ანატოლი პისკოვეციით ჩავა. „დინამოსთან" მარცხმა რუსთაველებს გუნება ჩაუმწარა და, ცხადია, შაბათს უკანმოუხედავი სამი ქულისთვის იბრძოლებენ. „ბათუმი" კი შარშანდელივით ცხრილის მეორე ნახევარში რომ იქნება, ეს „დილასთან" თამაშითაც დაამტკიცა.

მცხეთაში „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივია". ორივემ მაგრად დაიწყო ჩემპიონატი — ვიტელებმა ქულა წამოიღეს ზესტაფონიდან, „ლოკომოტივმა" კი „ამერს" სძლია. ჰოდა, წესით, ბრძოლა უნდა გამოვიდეს. ცხადია, შემადგენლობით ნესტორ მუმლაძის გუნდი უფრო ძლიერია, ვაკელთა მთავარი იმედი კი 16 წლის ლევან ყენიაა.

ტური კვირას „დინამო" — „სიონს" უნდა დაემთავრებინა, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებში 5 დინამოელის გამოძახების გამო ეს მატჩი გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**ილია ნანოვაყვილი**

ზუგდიდი. 17 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური

**მგლები — მერანი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი, კ. ბერაძე, გ. ლომსაძე

გორი. 17 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**სპარტაკი — ბორჯომი**

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ი. უკლება, ა. კოკაია, მ. ბეუქლიშვილი

თბილისი. 17 აგვისტო. 17.15 საათი. ამერი

**ამერი — დილა**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, გ. ჩიგოგიძე, ზ. ბერულავა, თ. გვანცელაძე

ბათუმი. 17 აგვისტო. 17 საათი. ადილი

**ბათუმი — ოლიმპი**

მსაჯები: ო. ხეცაძე, კ. გაბრიაძე, დ. კვეტენაძე, კ. ჭაჭუა

მცხეთა. 18 აგვისტო. 17 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი**

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, კ. გუდურაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, ი. ურუშაძე

ახალციხე. 18 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური

**მესხეთი — ზესტაფონი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, შ. ქუხილავა, მ. მაისურაძე

თბილისი. 19 აგვისტო. 17 საათი. მიხეილ მესხი

**დინამო — სიონი** გადაიდო

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე, ზვ. ასკაროღლი


ფეხბურთი

თბილისი — ამერი

უმაღლესი ლიგა. მეორე ტური

17 აგვისტო

ამერი — დილა

თბილისი გორი

დასაწყისი 17.15 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

პირველი 100 მყიდველი ბილეთთან ერთად პროფესიული ფეხბურთის ლიგის ლატარიის ბილეთს მიიღებს




# კოლხიდა და სხვა

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგამ, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, გუშინ მედია-კომპანია „კოლხიდასთან" მემორანდუმს მოაწერა ხელი. ქართულ-უცხოურ კომპანია „კოლხიდას" ეროვნული ჩემპიონატის ტელე და სარეკლამო უფლებები გადაეცა — ხელშეკრულება 20-წლიანია. თუმცა 10 წლის შემდეგ, სულ მცირე, 2 მილიონი ლარი თუ არ ექნება კომპანიას მოგება, დაფიქრდებიან, გააგრძელონ თუ არა მუშაობა.

პროფლიგის ხელმძღვანელმა დიმიტრი რამიშვილმა ამ მემორანდუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა:

— დღევანდელი დღე ქართული ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მედია-კომპანია „კოლხიდაში" პროფესიონალები მუშაობენ. ამ კომპანიის საქმიანობა ქართულ ფეხბურთს პოპულარულს გახდის, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ხარისხიანად მიაწვდიან მაყურებელს და უცხოურ კომპანიებსაც დააინტერესებენ. „კოლხიდას" გერმანელმა წარმომადგენელმა დავიდ ბორგერმა და ბიზნესგეგმის განვითარების მენეჯერმა, ესპანელმა სებასტიან მოლინამ მემორანდუმს მოაწერეს ხელი და თქვეს, იმიტომ გავერთიანდით, რომ ქართულ ფეხბურთს დავეხმაროთო და ჩვენი პარტნიორი ამ საქმეში ბრიტანული კომპანია „სპორტმედია რაიტსი" იქნება".

შეგახსენებთ, „კოლხიდა" პირველ წელს 300 ათას ლარს ჩადებს და ყოველ წელიწადს 100 ათას ლარს დაამატებს.

ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ და ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ კი იმაზე ისაუბრეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა „კოლხიდასთან" გაფორმებული მემორანდუმით და ჩემპიონატში მოთამაშე კლუბების პრეზიდენტებს მადლობა გადაუხადეს პროექტის მხარდაჭერისთვის.

**ნუკრი ლოლაძე**

# 31 აგვისტო: რუსეთი-საქართველო

## ეძღვნება კოტე მახარაძის ხსოვნას

**კოტე მახარაძე** — კაცი, რომლის 1981 წლის 13 მაისის ღამეს ნათქვამი დისიდენტური სიტყვები ლეგენდად იქცა და ყველამ იცის, ამის გამო პრობლემებიც შეექმნა მაშინდელ „სოიუზში".



31 აგვისტოს კიდევ ერთხელ გაიხსენებენ კოტე მახარაძეს და მის რუს კოლეგა ნიკოლაი ოზეროვს. ორი დიდი კომენტატორის ხსოვნის აღსანიშნავად მოსკოვის „ლუჟნიკიზე" გაიმართება მატჩი რუს და ქართველ ვეტერან ფეხბურთელთა შორის. ამის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაცია „საქართველოსა და რუსეთის კავშირის" პრეზიდენტმა მიხეილ ხუბუტიამ განაცხადა.

„ამ მატჩის გამართვის იდეას აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ ამ ორ ქვეყანას შორის ახლანდელ რთულ დამოკიდებულებას" — თქვა ხუბუტიამ.

რუს ვეტერანთა გუნდს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნიკიტა სიმონიანი გაუძღვება, თამაშით კი ითამაშებენ ფიოდორ ჩერენკოვი, ვაგიზ ხიდიატულინი, გეორგი იარცევი, იური გავრილოვი, ანდრეი პიატნიცკი...

ქართველი ვეტერანებიდან ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ გუცაევი, ლევან ნოდია, ვახტანგ კოპალეიშვილი, გელა კეტაშვილი და სხვები ითამაშებენ.

**ილია ნანოვაყვილი**

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**ტულუზი (საფრანგეთი) 0:1 ლივერპული (ინგლისი)**
0:1 ვორონინი (43)

**სპარტაკი (რუსეთი) 1:1 სელტიკი (შოტლადია)**
0:1 ჰარტლი (20), 1:1 პავლიუჩენკო (42)

**ტამპერე (ფინეთი) 0:3 რუსენბორგი (ნორვეგია)**
0:1 კოპინენი (19), 0:2, 0:3 ი. კონე (21, 83)

**ბატე (ბელარუსი) 2:2 სტიაუა (რუმინეთი)**
1:0 რადკოვი (43), 1:1 გოიანი (58), 1:2 დიკა (84), 2:2 ბლიზნიუკი (90)

**ფენერბაჰჩე (თურქეთი) 1:0 ანდერლეხტი (ბელგია)**
1:0 ალექსი (32)

**სარაევო (ბოსნია) 0:1 დინამო (კიევი, უკრაინა)**
0:1 შაცკიხი (14)

**ციურიხი (შვეიცარია) 1:1 ბეშიქთაში (თურქეთი)**
0:1 დელგადო (4), 1:1 ალფონსე (90)

**აიაქსი (ჰოლანდია) 0:1 სლავია (ჩეხეთი)**
0:1 კალივოდა (76პ)

**ზალცბურგი (ავსტრია) 1:0 შახტარი (უკრაინა)**
1:0 ციკლერი (10პ)

**ვერდერი (გერმანია) 2:1 დინამო (ზაგრები, ხორვატია)**
0:1 ბალაბანი (45), 1:1 ალმეიდა (46), 2:1 დ. იენსენი (85)

**სევილია (ესპანეთი) 2:0 აეკ (საბერძნეთი)**
1:0 ლ. ფაბიანო (48), 2:0 კანუტი (67)

**სპარტა (ჩეხეთი) 0:2 არსენალი (ინგლისი)**
0:1 ფაბრეგასი (72), 0:2 გლები (90)


„არსენალმა“ „სპარტას“ სძლია
AFP

# მოდი, ვნახოთ პენალტი

**კლაას იან ჰუნტელაარს** მარტინ ვანიაკმა პენალტი აულო მე-60 წუთზე და თექვსმეტი წუთის შემდეგ სლავიელმა დავიდ კალივოდამ ჰუნტელაარს აჩვენა, როგორ უნდა დაარტყა თერთმეტი მეტრიდან.

კალივოდამ გაიტანა და „სლავიამ“ სტუმრად მოუგო „აიაქსს“. პრალულმა გუნდმა ოთხი მატჩი ითამაშა ამ სეზონში და გოლი ჯერ არ გაუშვია. შარშან მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „აიაქსი“ „კოპენჰაგენმა“ დაამარცხა და დიდი შანსია, ამსტერდამელები კვლავ ლიგის გარეშე დარჩნენ.

მეორე პრალულმა გუნდმა „სპარტამ“ კი შინ წააგო „არსენალთან“ და საეჭვოა, რომ საპასუხო შეხვედრაში საქმის გამოსწორება შეძლოს.

მასპინძლები დალაგებულად თამაშობდნენ, სანამ კაპიტანი ტომაშ რეპკა დაუშავდებოდათ და მეორე ტაიმში მის გარეშე დარჩენილებმა გვიან, მაგრამ ორი გოლი მაინც გაუშვეს. ჯერ სესკ ფაბრეგასმა გაიტანა საჯარიმოს ხაზიდან, ხოლო ბოლო წუთზე ალექსანდრ გლებმა ისევე, როგორც პრემიერლიგაში „ფულემთან“, მეორე შეაგდო.

„ლივერპულის“ უკრაინელმა ფორვარდმა ანდრეი ვორონინმა ძლიერი დარტყმით ცხრიანში გაუტანა „ტულუზს“ მატჩში, რომელიც მძიმე და მწირმომენტიანი გამოდგა.

„ვორონინმა ამ გოლით თავისი კლასი დაამტკიცა“ — თქვა რაფაელ ბენიტესმა.

„ლუჟნიკის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე „სელტიკი“ უგებდა „სპარტაკს“, მაგრამ ფრეს დასჯერდა, რაც გლაზგოელებისთვის ურიგო შედეგი სულაც არ არის. 2008 წლის 21 მაისს ამ სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიმართება.

„მატჩისთვის კარგად მოვემზადებით, თუმც ბევრი შანსი გავანიავეთ — თქვა „სპარტაკის“ თავკაცმა სტანისლავ ჩერჩესოვმა. ანგარიში პოლ ჰარტლიმ გახსნა თერთმეტიოდე მეტრიდან თავური დარტყმით, ხოლო ტაიმის მიწურულს რომან პავლიუჩენკომ თავითვე გაათანაბრა.

„საინტერესო მატჩი გამოვიდა და ვამაყობ ჩემი გუნდით, რომელშიც ბევრი ახალგაზრდაა — მათ პირველად ითამაშეს ევროთასის შეხვედრაში“ — განაცხადა გორდონ სტრაჩანმა.

შეცვლაზე შესულმა დანიელ იენსენმა „ვერდერს“ ზაგრების „დინამოსთან“ მოაგებინა. დანიელმა ფეხბურთელმა დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა და თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე „მუსიკოსების“ ფანები გაახარა.

პირველი ტაიმის მიწურულს „დინამო“ ბოშკო ბალაბანმა დააწინაურა, ხოლო მეორის დასაწყისში უგო ალმეიდამ გაათანაბრა, რომელიც იანსენივით შეცვლაზე შევიდა. ალმეიდას დარტყმული მეკარემ მოიგერია და პორტუგალიელმა დამატებაზე იყოჩაღა.

ოთხშაბათს გამართული 12 მატჩიდან ყველაზე დიდი სხვაობით „რუსენბორგმა“ მოიგო და ცალი ფეხით ლიგის ჯგუფშია. „ვიკინგებმა“ მეზობელი ფინეთის ჩემპიონ „ტამპერეს“ სამი გაუტანეს და აჩვენეს, რომ მათი ადგილი ჩემპიონთა ლიგაში ჯერ არაა. ფინეთიდან ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ ჰიკ-ს (1998-2000) უთამაშია.

კოპინენმა და კონემ ორ წუთში ორჯერ გაუტანეს „ტამპერეს“ და მესამე გოლი მატჩის მიწურულს ისევ კონემ მიითვალა — ძელიდან უკუგდებული ბურთი კარში შეაბრუნა.

ბატე ტოლ-სწორად ეთამაშა გეორგ ჰაჯის „სტიაუას“ და ბოლო წუთზე გაუთანაბრა. მასპინძლები რადკოვმა დააწინაურა სტასევიჩის მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ, მეორე ტაიმში კი გოიანმა მალევე გაათანაბრა.

ბოლო ათ წუთში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს. დიკამ საჯარიმოდან გაიტანა, ხოლო სტასევიჩმა მეორე საგოლე პასი მიითვალა და ბლიზნიუკმა სხვაობა ისევ გააბათილა.

ჯოვანი ტრაპატონის „ზალცბურგმა“ წინ მოკლე ნაბიჯი გადადგა „შახტარის“ დამარცხებით. სტუმარმა დმიტრი ჩიგრინსკიმ ბურთი ხელით გააჩერა და ალექსანდრ ციკლერმა თერთმეტი მეტრიდან შეაგდო.

მეორე ტაიმის შუიდან „შახტარმა“ შტურმი მოუწყო მასპინძლებს, მაგრამ კარის გასაღები ვერ იპოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ორიდან ერთი სამია



**მიხაელ ბალაკისა** და მარიო გომესის გარეშე ეთამაშება გერმანია ინგლისს „უემბლიზე“ ამხანაგურ მატჩში, რომელიც 22 აგვისტოს გაიმართება.

ბალაკი ამ სეზონში არც გამოჩენილა „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში კოჭის ტრავმის გამო, ხოლო შტუტგარტელ გომესს ბარძაყი სტკივა.

მათ გარდა არ იქნებიან ვერდერელი ტორსტენ ფრინგსი და ტიმ ბოროვსკი.

იოახიმ ლიოვმა პირველად გამოიძახა ორნი: სამი ხედირა და სერდარ ტაშჯი „შტუტგარტიდან“.

*მეკარეები: ტიმო ჰილდებრანდი (ვალენსია, ესპანეთი), იენს ლემანი (არსენალი, ინგლისი);*

*მცველები: არნე ფრიდრიხი (ჰერტა), კლემენს ფრიცი (ვერდერი), მარსელ იანსენი, ფილიპ ლამი (ორივე ბაიერნი), პერ მერტესაკერი (ვერდერი) კრისტოფ მეცელდერი (რეალი, ესპანეთი), სერდარ ტაშჯი (შტუტგარტი);*

*ნახევარმცველები: რობერტ ჰილბერტი, ტომას ჰიცლშპერგერი, სამი ხედირა (სამივე შტუტგარტი), საიმონ როლფესი, ბერნდ შნაიდერი (ორივე ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი);*

*თავდამსხმელები: პატრიკ ჰელმესი (კიოლნი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), კევინ კურანი (შალკე).*

**ვაჟა ხუციშვილი**

## საფრანგეთი
I დივიზიონი
III ტური

**ვალენსიენი 2:1 მარსელი**
0:1 ზიანი (57), 1:1, 2:1 სავიდანი (62, 86)

**ბორდო 1:2 ლე მანი**
1:0 ბელიონი (13), 1:1 მელო (46), 1:2 გრაფიტე (72)

**ლილი 1:1 სოშო**
1:0 დუმონი (26), 1:1 დალმა (45)

**მონაკო 2:0 მეცი**
1:0 მოდესტო (30), 2:0 პიკიონი (85)

**პსჟ 1:3 ლორიანი**
1:0 პაულეტა (35), 1:1, 1:2 ვაპირუა (69,. 74), 1:3 სანფი (90პ)

**სტრასბური 3:0 ოსერი**
1:0, 2:0 კუესტა (24, 67), 3:0 გამეირო (90)

**რენი 1:0 სენტ ეტიენი**
1:0 პანსონი (3)

## ბრაზილია
სერია A.
გადადებული მატჩები

ბოტაფოგო — კორინთიანსი 2:3; ფლუმინენსე — ფლამენგო გვიან დამთავრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

**პრემიერლიგა. II ტური**

**პორტსმუთი 1:1 მანჩესტერი**

0:1 სქოულზი (15), 1:1 მუნტარი (83)
**პორტსმუთი:** ჯეიმსი, პამაროტი (მიუზი 64), კრანიე (კრაორე 46), დისტინი, ჰრეიდარსონი, უტაკა, პედრო მენდეში (ტეილორი 46), დევისი, მუნტარი, მვარუვარი, ნაჯენტი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი (იგლსი 88), რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი, სქოულზი, ნანი, გიგზი (ოში 81), ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მუნტარი, დევისი, ვიდიჩი
გაძევება: მუნტარი (83), რონალდუ (85)
მსაჯი: ბენეტი
20 510 მაყურებელი

**რედინგი 1:2 ჩელსი**

1:0 ბიკეი (30), 1:1 ლამპარდი (47), 1:2 დროგბა (50)
**რედინგი:** ჰანემანი, მერტი, ინგიმარსონი, დაბერი (ბიკეი 29), შორი, ოსტერი (სეილი 79), ჰარპერი, სისე, ჰანტი, დოილი, ლონგი (გუნარსონი 74)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა (პიზარო 46), ბენ ჰაიმი, კარვალიუ (ჯონსონი 31), ეშლი კოული, შ. რაიტ-ფილიპსი, სიდველი (მიკელი 46), ლამპარდი, მალუდა, დროგბა, კალუ
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ლონგი, სისე, ჰანტი, ინგიმარსონი, კარვალიუ, სიდველი, შ. რაიტ-ფილიპსი, ეშლი კოული, მიკელი
გაძევება: სისე (72)
მსაჯი: დინი
24 031 მაყურებელი

**სიტი 1:0 დერბი**

1:0 ჯონსონი (43)
**სიტი:** შმეიხელი, კორლუკა, დანი, რიჩარდსი, გარიდო, ირლანდი, ჯონსონი, ჰამანი, პეტროვი (ჯოვანი 74), ბიანკი (ბოჟინოვი 78), ელანო (მპენზა 89)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
**დერბი:** ბაივოტერი, მირსი, მური, დევისი, გრიფინი, ჯონსი (ტილი 46), ოკლი, ტოდი (მაკეველი 77), ფაგანი (ერნშოუ 70), ჰოვარდი, პირსონი
მწვრთნელი: ბილი დევისი
გაფრთხილება: პეტროვი, ჰამანი, ჯონსონი, ჰოვარდი
მსაჯი: მესონი
43 620 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:2 სანდერლენდი**

1:0 მაკშეინი (28ს.კ.), 1:1 ჩოპრა (75), 2:1 ოკონორი (82), 2:2 ჯონი (90)
**ბირმინგემი:** დოილი, პარნაბი, ჯურუ, რიჯველი, კელი, ლარსონი, მუამბა, ნაფტი, მაკშეფრეი (ოკონორი 65), ფორსელი (ჯერომი 84), კაპო
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
**სანდერლენდი:** გორდონი, კოლინზი, ნოსუორთი, მაკშეინი, ჰელფორდი (ოდოვანი 70), ედვარდსი, ეტუჰუ, ვაითჰედი (მილერი 58), უოლესი, კონოლი (ჯონი 58), ჩოპრა
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: დოილი, ეტუჰუ
მსაჯი: სტრუდი
24 898 მაყურებელი

**უიგანი 1:0 მიდლსბრო**

1:0 სიბიერსკი (55)
**უიგანი:** კირკლანდი, მელხიოტი, ბრამბლი, გრენკვისტი, კილბეინი, ვალენსია, შერმერი, ლანძაატი, კუმასი, ჰესკი, სიბიერსკი (აგაპოვა 66)
მწვრთნელი: კრის ჰატჩინგსი
**მიდლსბრო:** შვარცერი, დევისი, რიგოტი, ვიტერი, ტეილორი, ბოატენგი, არკა, დაუნინგი, თუნჯაი (ჯონსონი 71), ალიადირი (კატერმოლი 87), იაკუბუ (ლი 65)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: კილბეინი, თუნჯაი, ჯონსონი, არკა
მსაჯი: ტენერი
14 007 მაყურებელი

**ფულემი 2:1 ბოლტონი**

0:1 ჰელგუსონი (12), 1:1 ჰილი (23), 2:1 სმერტინი (26)
**ფულემი:** უორნერი, ბერდი, ბოკანეგრა, ნაითი, კონჩესკი, დევისი, სმერტინი, დეივისი, ბუაზა (დემპსი 80), ჰილი (კამარა 79), მაკბრაიდი
მწვრთნელი: ლოური სანჩესი
**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, კიდი, მეიტე, სამუელი (მიხალიკი 90), ნოლანი, სპიდი, მაკკანი (ალონსო 76), ანელკა, ჰელგუსონი (ბრააატენი 72), დიუფი
მწვრთნელი: სემი ლი
გაფთრხილება: კონჩესკი, ბოკანეგრა, დიუფი
მსაჯი: პრობერტი
21 102 მაყურებელი




„პორტსმუთ" — „მანჩესტერის" მატჩში კაი გიწევ-გამოწვევა იყო

# სად არის ჩემი მეკარე?

## კინმა კედელზე დახატული გოლი ნახა

**მამლაყინწობა** წითელ ბარათად და სამმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა კრიშტიანუ რონალდუს, რომელმაც ნერვები ვერ მოთოკა და თავი თავზე მიადო რიჩარდ ჰიუზს. არ დაურტყამს, მაგრამ სტივ ბენეტისთვის ესეც საკმარისი იყო წითელი ბარათის მოსამებნად.

ბენეტმა რონალდუს მეორე გაძევება მიითვალა და ფერგიუსონს ათქმევინა: „კრიშტიანუ პროვოკაციას წამოეგო. ის სხვებზე უკეთესი ფეხბურთელია და უკეთესად მოქცევა მართებს. ასეთ ვითარებაში ნერვების მოთოკვა აუცილებელია. ბენეტს ადრე, „მანჩესტერ სიტისთანაც" გაუძევებია რონალდუ და მეორე შანსი ხელიდან არ გაუშვა".

მომდევნო ტურში მანჩესტერული დერბია, რომელსაც დისკვალიფიცირებული პორტუგალიელი და ტრავმირებული უეინ რუნი გამოტოვებენ.

„პორტსმუთთან" მატჩში კარლოს ტევესის დებიუტი შედგა. მან საგოლე პასი გაუკეთა პოლ სქოულზს და მწვრთნელმაც აქო. მასპინძელმა ბენჯამინ მვარუვარიმ კი მეორე ტაიმში თავური დარტყმით გაათანაბრა.

სქოულზისვის ეს გოლი პრემიერლიგაში 96-ე იყო, ხოლო „მანჩესტერმა" პრემიერლიგის დაარსებიდან პირველად ვერ შეძლო ორ ტურში ერთი გამარჯვების მოპოვება. კრიშტიანუ რონალდუმდე კი პორტსმუთელი სულეი ალი მუნტარი გააგდეს უხეშობისთვის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან წინა სეზონში „უდინეზეში" განელმა 11 ყვითელი და სამი წითელი ბარათი მოაგროვა.

„შესვენებისას ვუთხარი: თქვენი დახმარება მჭირდება. მეორე ტაიმში ორ ცვლილებას ვაპირებ. თუ ვინმეს პრობლემა გაქვთ, ნუ ტირით და მე ნუ მიყურებთ. გააუმჯობესეთ თამაში" — ეს კი ჟოზე მაურინიუს მოკლე ლექციაა, რომელიც მან „რედინგთან" მატჩში მეორე ტაიმის დაწყებამდე წაუკითხა შეგირდებს.

პირველ ტაიმში კი მასპინძლები ანდრე ბიკეიმ დააწინაურა, ვინც ათი წამის შესული იყო მოედანზე ტრავმირებული დაბერის ნაცვლად. პეტრ ჩეხი კარიდან გამოსვლისას შეცდა და ხელი ვერ მოარტყა ბურთს, რომელიც ბიკეის მიუვიდა და მასაც უპატრონოდ მიტოვებულ ბადეში შეგორება არ გასჭირვებია.

შეცვლაზე შესულმა კლაუდიო პიზარომ და ჯონ ობი მიკელმა უმალ დაატყვეს ფეხი „ჩელსის" და ფრენკ ლამპარდმა გაათანაბრა. სამ წუთში კი დიდიე დროგბამ ოცი მეტრიდან დაარტყა და სტუმრები წინ გაიყვანა. მოგვიანებით „რედინგს" სისე გაუძევეს და კაცნაკლულ მასპინძლებთან „ჩელსის" ანგარიშის შენარჩუნება არ გასჭირვებია.

„სანდერლენდი" კვლავ სასწაულებს ახდენს. როი კინის გუნდს წინა სეზონში ჩემპიონლიგაში ბოლო წუთებზე გაჰქონდა გოლები და პრემიერლიგაშიც ასე „იქცევა". პირველ ტურში „ტოტენჰემს" მოუგო და ამჯერად „ბირმინგემს" ბოლო წუთზე ქულა წაართვა. ყოფილმა ბირმინგემელმა სტერნ ჯონმა თავით გაუტანა მასპინძლებს. როი კინმა თქვა: „აქ კედელზე ვნახე სურათი, რომელზეც სტერნს „ბირმინგემის" მაისურით გოლი გააქვს და ვიფიქრე, დღესაც გაიტანს-მეთქი".

ასეც მოხდა, ოღონდ მასპინძელთა მწვრთნელი სტივ ბრიუსი მსაჯზე გაბრაზდა...

„სეზონის წინ მეგონა, რომ წლეულს მსაჯებზე ლაქლაქი აღარ მომიწევდა, მაგრამ შევცდი. ჯონმა მეკარე წააქცია, რაც არბიტრს უნდა დაენახა, მას თუ არა, ლაინსმენს მაინც უნდა შეემჩნია. მოედნის კიდიდან დავინახე, რომ მეკარე გაქრა და ხმამაღლა ვიკითხე: სად არის ჩემი მეკარე? ის თურმე ჯონს წაუქცევია".

ჩრდილოირლანდიელმა დევიდ ჰილიმ ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა და „ფულემმა" „ბოლტონი" დაამარცხა. სტუმრები, რომლებსაც სემი ლი წვთნის, გაცილებით სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე სემ ალარდაისის თავკაცობისას, მაგრამ ზედიზედ ორი შეხვედრა წააგეს".

„ფულემის" მეკარეს ტონი უორნერს ბურთი ხელიდან გაუვარდა, ბოლტონელმა ჰელგიუსონმა საჩუქრით ისარგებლა და 0:1.

დევიდ ჰილიმ მალევე გაათანაბრა ჰელგიუსონის შეცდომით, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ჩრდილოირლანდიელისკენ მოიგერია. სამ წუთში კი ალექსეი სმერტინმა დაარტყა შორიდან და მცველისგან ასხლეტით ბურთი იუსი იასკელაინენის კარში შევარდა.

13 საათისა ერთი წუთი შემდეგ — ამდენი ხანი „სიტის" საკუთარ მოედანზე გოლი არ გაეტანა — მანჩესტერელებმა ნავსი გატეხეს. სიტელთა აკადემიის აღზრდილმა 19 წლის მაიკლ ჯონსონმა შესვენებამდე ორი წუთით ადრე შეაგდო და ეს იყო მისი პირველი გოლი 12 მატჩში, ხოლო „დერბისთვის" პირველი მარცხი სეზონში.

ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო „მიდლსბრომ" და მიჯრით მეორე შეხვედრაში გაიტანა უიგანელმა ანტუან სიბიერსკიმ, რომელმაც მარკ შვარცერის მოგერიებულ ბურთს საგოლედ დაჰკრა.

„არსენალმა", „ლივერპულმა" და „ბლექბერნმა" ევროთასებზე მონაწილეობის გამო ამ ტურში არ ითამაშეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**კონფერენსლიგა**
**II ტური**

**ალდერშოტი 0:3 ტორკი**
**გრეისი 1:1 უოკინგი**

**ლიგის თასი. I ეტაპი**

**ძრიუ 0:3 ჰალი**
**ვულვზი 2:1 ბრედფორდი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტევ-ეს აღარ დამთავრდა?!

## დაჩაგრული შეფილდი მილიონებს ითხოვს


ტევესი თამაშობს, „შეფილდი" ჩივის

AFP

**თქვენ** გეგონათ, კარლოს ტევესის საგა დასრულდა? არამც და არამც, „ტევესიადას" გაგრძელება მოჰყვა და აი, როგორი: „შეფილდ იუნაიტედი" „ვესტ ჰემს" სასამართლოში უჩივის, რომ გავვარდი, შენი ბრალიაო.

რატომ არის „შეფილდის" გავარდნა „ვესტ ჰემის" ბრალი? იმიტომ, რომ „ვესტ ჰემი" ერთიხანობა კარლოს ტევესს და ხავიერ მასკერანოს კანონდარღვევით ათამაშებდა, რის გამოც, შეფილდელთა აზრით, ქულების დაკლება ეკუთვნოდა, ხოლო ეს სამართალი რომ აღსრულებულიყო, დღეს პრემიერლიგაში „ვესტ ჰემი" კი არა, „შეფილდი" ითამაშებდა.

ახლა, როგორც მოგახსენეთ, გავარდნილი გუნდი სასამართლოში ჩივის და საკომპენსაციო თანხას ითხოვს, ეს თანხა კი მის ადვოკატებს 30-50 მილიონ გირვანქად აქვთ შეფასებული.

„ჩვენ იურიდიულ საკითხთა მრჩევლებს ვესაუბრეთ და მათთან შეთანხმებით დავადგინეთ საკომპენსაციო თანხა" — განაცხადა შეფილდელთა კლუბის პრეს-ატაშემ.

აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ „შეფილდმა" უმაღლესი სპორტული სასამართლოს მეშვეობით სცადა პრემიერლიგაზე ზემოქმედება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

**ბაჩუნა ბედია**

# ბექემმა ჩაახუჭუჭა

**დევიდ ბექემმა** „ლოს ანჯელეს გალაქსის" შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გაიტანა, რითაც ყველაზე გახარებული ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სტივ მაკლარენი დარჩენილა.

ეს იყო თამაში, რომელშიც „გალაქსიმ" „DC იუნაიტედს" მოუგო და სუპერლიგის ფინალში გავიდა. ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი გახლდათ იმითაც, რომ ბექემმა ამერიკაში გადაბარგების შემდეგ პირველად ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში. მან მოედანზე 63 წუთი დაყო.

იქნებ, ვინმემ იკითხოს, რა შეჯიბრებაა სუპერლიგა. ამიტომ, სანამ ბექემის გოლზე გავაგრძელებდით თხრობას, მოგახსენებთ, რომ ეს გახლავთ ამერიკის, კანადისა და მექსიკის უმაღლესი დივიზიონების გუნდთა ტურნირი, რომლის პირველი მატჩი წლეულს 27 ივნისს გაიმართა, ხოლო, ბოლო 29 აგვისტოს არის დაგეგმილი. შეჯიბრების ფორმატი თავისი ჯგუფური და პლეი ოფის ეტაპებით იგივეა, რაც ევროპული ჩემპიონთა ლიგა იმ განსხვავებით, რომ ჩრდილოამერიკელები შინ და სტუმრად არ თამაშობენ.

გამარჯვებული ჯილდოდ ერთ მილიონ დოლარს მიიღებს.

ახლა კი დავუბრუნდეთ ბექემს, რომელმაც თავისი პირველი ამერიკული გოლი „DC იუნაიტედთან" შეხვედრის 28-ე წუთზე შეაგდო. გოლი 32 წლის ინგლისელის საფირმო ჯარიმით გავიდა — „იუნაიტედმა" ცოცხალი კედელი აღმართა, ბექჰმა კი მას ბურთი გადააბზრიალა და DC-ს გაფრენილი მეკარის, ტონი პერკინსის კარის მარცხენა მაღალ კუთხეში შეარჭო.

„თამაშის დასაწყისში დაწინაურება ძალიან კარგი იყო — თქვა მატჩის შემდეგ ინგლისელმა — თუმცა, მინდა გითხრათ, რომ თამაშის ბედი მხოლოდ ჩემს გოლს არ გადაუწყვეტია, დღეს მთელი გუნდის თამაში იყო მნიშვნელოვანი. ჩვენ ვიმუშავეთ, ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ, როგორც გუნდმა. მე თუ მკითხავთ, დღევანდელი მატჩში ყველაზე სასიამოვნო სწორედ ეს გახლდათ. ახლა, მთავარია იგივე გავიმეოროთ და თან მხოლოდ ერთხელ კი არა, კიდევ, კიდევ და კიდევ. ჩვენ ყოველ მომდევნო შეხვედრას უნდა მივუდგეთ, როგორც გაკვეთილს. ძალიან მნიშვნელოვანია, ათვლის წერტილად დღევანდელი თამაში მივიჩნიოთ. გიმეორებთ, დიახ, ჩვენ გავიმარჯვეთ და ფინალში გავედით, მაგრამ ამაზე მთავარი ის გუნდური სულისკვეთება გახლდათ, რომელიც დღეს გამოვიჩინეთ".

როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, ბექემი ამ დღეს ჩინებულ ფორმაში იყო და თან მოედნის ცენტრიდან თამაშობდა.

ჟურნალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმასაც, თუ როგორ შეხვდნენ ბექემს ამერიკელი ფანები — ისინი ინგლისელს ერთიხანობა უბღვერდნენ, რადგან დიდი ხმაურით მისულმა ვარსკვლავმა მოედანზე გასვლას ვეღარ თუ აღარ დააყენა საშველი. მერედა, თითქოს ფანთა განრისხება უნდა გაათმაგებულიყო მას მერე, რაც ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა ნახევარმცველი გერმანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში სათამაშოდ გამოიძახა და ფეხბურთელიც სიხარულით დათანხმდა — თითქოს გამოდიოდა, რომ ბექემი ამერიკისთვის დაშავებული იყო, ინგლისისთვის კი ჩინებულად გრძნობდა თავს — მაგრამ, „გალაქსისა" და „DC იუნაიტედის" შეხვედრის დღეს ამერიკელ ქომაგებს არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამთ.

**ბაჩუნა ბედია**



AFP

## მეტი მამადუს შეცვლის

**„მარსელი"** „ნიცას" მოურიგდა და მეტ მუსილუს ერთი სეზონით ითხოვებს. 25 წლის ფორვარდი მამადუ ნიანგს შეცვლის, რომელმაც მუხლის ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვით დააკლდება გუნდს.

2004-05 წლებში მუსილუ „ლილში" თამაშობდა და 13 გოლი გაიტანა, წინა სეზონი კი „სენტ ეტიენში" გაატარა, სადაც 11 გოლი მიითვალა.

## პატივი მეცით!

**„ლიონის"** ბრაზილიელ თავდამსხმელ ფრედის გუნდიდან წასვლა უნდა.

„ამ კლუბის მაისურის ჩაცმა აღარ მსურს — თქვა ფრედიმ — რადგან პატივისცემას ვეღარ ვგრძნობ. თანაგუნდელებთან და ქომაგებთან პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლასთან ურთიერთობა წამიხდა. ამიტომაც ვაპირებ გუნდის გამოცვლას".

## პრეზიდენტის მარცხენა მარჯვენაა

**„ნაპოლი"** „პარმას" ნახევარმცველ მატეო კონტინის ყიდულობს. კლუბები უკვე შეთანხმდნენ და ნეაპოლელები ახლა ბიჭს პირად კონტრაქტზე ევაჭრებიან.

„ჩვენ მარჯვენა ნახევარმცველი გვჭირდება და მნიშვნელობა არ აქვს, ცაცია იქნება და მემარჯვენე" — თქვა „ნაპოლის" პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა ცაცია კონტინიზე, რომელსაც ოთხწლიან ხელშეკრულებას სთავაზობენ.

## სანჩესი კოლოდან რივერში

**18 წლის** ჩილელი ფორვარდი ალექსის სანჩესი „უდინეზემ" „რივერ პლეიტს" ერთი წლით დაუთმო. უდინელებმა ფეხბურთელი 2006-ში იყიდეს და „კოლო კოლოში" გაანათხოვრეს, სადაც ჩემპიონი გახდა.

იტალიური კლუბი ქირად 450 ათას გირვანქას მიიღებს, სანჩესს კი 150 ათასი ერგება.

## მიშელის მაროკოული დეტალები

**მაროკოს** ნაკრების მწვრთნელი მოჰამედ ფაკირი მოხსნეს და მის ნაცვლად ანრი მიშელი დანიშნეს.

„ჩვენ დეტალები დაგვრჩა შესათანხმებელი და ამ დღეებში კონტრაქტს გავაფორმებთ" — თქვა ფეხბურთის ფედერაციის შეფმა აბდელჰამიდ ესაუირიმ.

მიშელი ეგვიპტის „ზამალეკიდან" ცოტა ხნის წინ წავიდა. გუშინწინ კი ესაუირის ესტუმრა და ესაუბრა.

59 წლის ფრანგი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე კოტ დივუარს თავკაცობდა, 1998-ში კი საფრანგეთის მუნდიალზე მაროკო გაიყვანა.

## ცხრათვიანში უფეხბურთოდ

**ჩილეს** 20-წლამდელთა ნაკრების ფორვარდი ხაიმე გრონდონა ფიფამ ცხრა თვით მოკვეთა ფეხბურთიდან.

მსოფლიოს ოცწლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალში ჩილემ არგენტინასთან 0:3 წააგო და დამარცხებულთაგან ყველაზე ცუდად გრონდონა მოიქცა — იგი მსაჯების საცემად იწევდა.

ფეხბურთელს 4 200 ევროს გადახდაც მოუწევს, ჩილეს ფედერაციას კი 9 ათასის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რონალდო საუკეთესოა, ვინც კი ოდესმე მყოლია

**ფაბიო კაპელო, სულ ცოტა, ერთი წელი მწვრთნელობას აღარ აპირებს. ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და ტიტულიან ტაქტიკოსს ტელეკომპანია RAI-სთან ერთწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული და კომენტატორად იმუშავებს. ნესით, გამოცდილი სპეციალისტი ამ საქმეს 22 აგვისტოდან უნდა შეუდგეს და იტალია — უნგრეთის ამხანაგურ მატჩს გაუძღვეს. „გაძეტა დელო სპორტმა" 61 წლის კაპელოს ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც მან ბევრი საინტერესო და ცოტა მოულოდნელი განცხადება გააკეთა...**



AFP

**— მალე სერია A-ს ახალი სეზონი იწყება. „ინტერს" თქვენც უკონკურენტოდ და ფავორიტად თვლით?**

— დიახ, ვფიქრობ, „ინტერი" ისევ ფავორიტია. იმიტომ, რომ კლუბმა ორი ბრწყინვალე ტრანსფერი გააკეთა — დავიდ სუაზო და კრისტიან კივუ დაიმატა. გარდა ამისა, „ნერაძურიმ" შეინარჩუნა ისეთი მნიშვნელოვანი მოთამაშეები, როგორებიც პატრიკ ვიეირა და ლუიშ ფიგუ არიან. ასე რომ, ახლა „ინტერი" ძალიან დაბალანსებული და ძლიერი გუნდია, რომელმაც იცის, რაც შეუძლია. თუმცა იმის თქმა, რომ „ნერაძურის" სკუდეტოსთვის ბრძოლაში სერიოზული კონკურენტი არ ეყოლება, გადამეტებული იქნება. ნუ დავივიწყებთ, რომ წინა სეზონში მილანელებს უპირატესობა ჰქონდათ, რადგან რამდენიმე კლუბმა ჩემპიონატი მინუს ქულებით დაიწყო. რობერტო მანჩინის გუნდს ძალუძს ზედიზედ მეორედ სერია A-ს მოგება, მაგრამ არა მგონია, „ინტერს" ეს ისეთივე დიდი სხვაობით გამოუვიდეს.

**— „ინტერი" ალბათ ჩემპიონთა ლიგის ფავორიტიც არის, არა?**

— იტალიური კლუბებიდან, რომლებიც ამ სეზონში ლიგაში ითამაშებენ, „ინტერი" ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე გუნდია, რომელსაც დუბლის გაკეთება შეუძლია.

**— ამდენი მაღალი კლასის მოთამაშე „ინტერს" პირიქით, პრობლემებს ხომ არ შეუქმნის?**

— არა, ოღონდ, თუ მწვრთნელმა კარგად იცის გუნდის მართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორი-სამი ტიტულის ერთად მოგება გამორიცხული იქნება.

**— იზიარებთ თუ არა აზრს, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი პროგრესს განაგრძობს?**

— იბრა ყოველთვის ასეთი იყო. მისი ყიდვა ჯერ კიდევ „რომაში" ყოფნისას მინდოდა, რადგან კარგად ვხედავდი მის დიდ პოტენციალს. იგი მეტოქის კართან საოცრებებს ჩადის. ამ სეზონში აუცილებლად ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე იქნება.

**— „ინტერის" მთავარ კონკურენტად ვის დაასახელებთ?**

— რასაკვირველია, „მილანს". ამ კლუბს დიდი ტრადიციები და მუშაობის კულტურა აქვს. „როსონერიში" საოცარი ატმოსფეროა შექმნილი, რაც განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ფეხბურთელებზე, ვეტერანებზეც კი.

**— ალეშანდრო პატო კარგი შენაძენია და „მილანს" სარგებელს მოუტანს თუ...**

— მისი თამაში ნანახი მაქვს და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ასე ვთქვათ, „მილანმა" კარგ საქმეში ჩადო ფული, მაგრამ შეცდომის დაშვება არ არის საჭირო. მისგან ყველაფერი ახლა და ერთად არ უნდა მოითხოვონ. პატოს სიმშვიდე სჭირდება, რათა სათანადოდ გაიზარდოს. „მილანი" ისევე უნდა მოიქცეს, როგორც „ბარსელონა" მოიქცა ლეო მესის შემთხვევაში.

**— რონალდო ისევ ტრავმირებულია...**

— რონალდო საუკეთესო ფეხბურთელია, ვინც კი ოდესმე გამიწვრთნია. მისი ახლანდელი ტრავმისთვის ამხელა ყურადღების დათმობა არ ღირს, ეს დროებითი პრობლემაა. რონალდოს მომავალი მისსავე ხელშია, ფიზიკურ კონდიციებზე მნიშვნელოვანი საკუთარი საქმის კარგად კეთების სურვილია.

**— ნახეთ თქვენი ყოფილი კლუბების, „იუვენტუს" — „რომას" ამხანაგური მატჩი, რომელსაც „გლადიატორები" 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ტურინელებმა 5:2 იმარჯვეს?**

— მხოლოდ პირველ ტაიმს ვუყურე და კიდევ ერთხელ გამაოცა „იუვენტუსის" საოცარმა, განსაკუთრებულმა ხასიათმა, მებრძოლმა სულმა. ეს კლუბისა და მისი მოთამაშეების სისხლშია გამჯდარი, რომლებსაც კარგად ვიცნობ. პაველ ნედვედი, ჯანლუიჯი ბუფონი, დავიდ ტრეზეგე, იგივე ალესანდრო დელ პიერო, რომელსაც პირველ ტაიმში არ უთამაშია, მათ არასოდეს არ უნდათ წაგება და არაფერს ეპუებიან.

**— დელ პიეროს კიდევ შეუძლია ისევ „იუვეს" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახდეს თუ ასევე დარჩება სათადარიგო ვარსკვლავად?**

— ვერავინ დააყენებს ეჭვქვეშ დელ პიეროს ნიჭსა და კლასს, მაგრამ როგორ გამოიყენებენ ამას, ეს მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— ლუჩანო მოჯიმ ცოტა ხნის წინ თქვა, არ არის საჭირო „იუვენტუსის" ფანების მოტყუება, რომ კლუბი უკვე მომავალ სეზონში იბრძოლებს სკუდეტოსთვის — ამისთვის უკვე საკმარისად ძლიერიაო. თქვენ ეთანხმებით?**

— კლაუდიო რანიერი ძალიან კარგად მუშაობს, მაგრამ „იუვენტუსი" ამჟამად ისეთ მოედანს ჰგავს, რომელზეც მშენებლობა მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, გუნდი უკვე ძალიან ძლიერია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აზრით, „ინტერსა" და „მილანს" ჯერჯერობით ჩამოუვარდება. არც იმან უნდა დაამწუხროს ტურინელთა ფანები, რომ კლუბი ამ სეზონში ევროტურნირებზე ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, „იუვეს" დასვენებისა და ვარჯიშისთვის მეტი დრო ექნება სერია A-ს ტურებს შორის, ეს კი დიდი უპირატესობაა.

**— არ ფიქრობთ, რომ „იუვეს" დაცვა ჰყავს გასაძლიერებელი?**

— ამაზე ლაპარაკი ჩემი საქმე არ არის. თუმცა არ მესმის, რა ხდება ჯორჯო კიელინისთან დაკავშირებით. ასეთ მოთამაშეს ნებისმიერ საფასურად შევინარჩუნებდი.

**— და „რომაზე" რას იტყვით?**

— მე „რომას" „მილანის" გვერდით დავაყენებდი.

**— რატომ?**

— „რომას" სატრანსფერო პოლიტიკა ჩინებულად იყო დაგეგმილი. ლუდოვიკ ჟიული და ჟუანი ბრწყინვალე მოთამაშეები არიან. ლუჩანო სპალეტის ყველა პოზიციაზე ჩინებული ფეხბურთელები ჰყავს და შეუძლია, ნებისმიერი ტაქტიკური ჩანაფიქრი განახორციელოს.

**— ფრანჩესკო ტოტიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა. ახლა იგი კლუბისთვის უფრო სასარგებლო იქნება?**

— რასაკვირველია, ეს ამბავი „რომას" წისქვილზე ასხამს წყალს. ტოტი ექსტრაკლასის მოთამაშეა და მის გადაწყვეტილებას ნაკრებიდან წასვლის შესახებ, პატივს ვცემ. თუ მან იგრძნო, რომ იმდენ მატჩში მონაწილეობას ველარ შეძლებს, რამდენშიც ადრე თამაშობდა, სწორად მოიქცა.

**— „ფიორენტინას" ამ სეზონში სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია?**

— ფლორენციელთა რიგებში ძალიან საინტერესო და ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, მაგრამ ალბათ ისინი მუდამ იმედისმომცემ მოთამაშეებად არ დარჩებიან. გუნდიდან ასე ადვილად არ გავუშვებდი ლუკა ტონის, რადგან ასეთი ფეხბურთელის შეცვლა ძალიან რთული იქნება. ყოველთვის ვთვლიდი, რომ ყველა გუნდში დაახლოებით თანაბარი რაოდენობით უნდა იყვნენ ახალგაზრდები და გამოცდილი ფეხბურთელები. მხოლოდ ახალგაზრდებით წარმატებას ვერ მიაღწევ.

**— გამოცდილი, სამაგალითო ფეხბურთელი „იებისთვის" შეიძლება კრისტიან ვიერი გახდეს?**

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა უტრიალებს ვიერის თავში და როგორ მოეკიდება საქმეს.

**— ამ ზაფხულის რომელ ტრანსფერს შეიძლება ეწოდოს მთავარი?**

— დიდი იმედი მაქვს, რომ გაამართლებს პატო, მაგრამ საუკეთესოდ „რომას" მიერ ჟიულის ყიდვას დავასახელებ. პირველ რიგში ფასისა და ფეხბურთელის კლასის შეფარდების მიხედვით.

**— თქვენ ხართ ერთადერთი იტალიელი მწვრთნელი, რომელმაც ერთ წელს სკუდეტოც მოიგო და ჩემპიონთა ლიგაც, ეს 1994 წელს მოხდა. როგორ მოახერხეთ ეს, რაშია საიდუმლო?**

— დღესდღეობით ეს გაცილებით ძლიერი მისაღწევია, რადგან ფეხბურთელები ბევრად უფრო დატვირთულები არიან. არც ის დავივიწყოთ, რომ ჩვენ იმ პერიოდში სამჯერ გავედით ლიგის ფინალში, მაგრამ მხოლოდ ერთხელ ვიმარჯვეთ. ამისათვის ჩინებული შემადგენლობა, სერიოზული კონცენტრაცია და ცოტა იღბალია საჭირო.

**— ვინ იქნება „ინტერის" მთავარი კონკურენტი ევროპაში?**

## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.60 | 1.85 |
| 12010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 1.60 | 1.85 |
| 12011 | ბლექბერნი-არსენალი | 1.65 | 1.80 |
| 12012 | ფულემი-მიდლსბრო | 1.60 | 1.85 |
| 12013 | რედინგი-ევერტონი | 1.55 | 1.90 |
| 12014 | ტოტენჰემი-დერბი | 1.80 | 1.65 |
| 12015 | უიგანი-სანდერლენდი | 1.55 | 1.90 |
| 12016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.65 | 1.80 |
| 12017 | სიტი-მანჩესტერი | 1.80 | 1.65 |
| 12019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 1.65 | 1.85 |
| 12020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 1.75 | 1.75 |
| 12021 | ქოვენთრი-ჰალი | 1.70 | 1.80 |
| 12022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 1.65 | 1.85 |
| 12023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 1.65 | 1.85 |
| 12024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 1.65 | 1.85 |
| 12025 | ქპრ-კარდიფი | 1.65 | 1.85 |
| 12026 | სკანთორპი-ბარნსლი | 1.60 | 1.90 |
| 12027 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 1.70 | 1.80 |
| 12028 | უოტფორდი-შეფილდი | 1.75 | 1.75 |
| 12029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 1.65 | 1.85 |
| 12030 | სტოკი-ჩარლტონი | 1.60 | 1.90 |
| 12080 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1.55 | 1.90 |
| 12081 | პართსი-გრეტნა | 1.90 | 1.55 |
| 12083 | რეინჯერსი-ფოლკირკი | 2.00 | 1.50 |
| 12084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.55 | 2.00 |
| 12085 | აბერდინი-სელტიკი | 1.65 | 1.80 |
| 12101 | კარლსრუე-ჰანოვერი | 1.75 | 1.70 |
| 12102 | არმინია-ანტრახტი | 1.80 | 1.65 |
| 12103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 1.75 | 1.70 |
| 12104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 1.75 | 1.70 |
| 12105 | ჰერტა-შტუტგარტი | 1.75 | 1.70 |
| 12106 | შალკე-დორტმუნდი | 1.80 | 1.65 |
| 12107 | ვერდერი-ბაიერნი | 1.90 | 1.55 |
| 12108 | კოტბუსი -ბოხუმი | 1.70 | 1.75 |
| 12139 | ალტახი-ავსტრია კ | 1.75 | 1.70 |
| 12140 | მატერსბურგი-აუსტრია | 1.65 | 1.80 |
| 12141 | რაპიდი-ზალცბურგი | 1.65 | 1.80 |
| 12142 | რიდი-შტურმი | 1.80 | 1.65 |
| 12143 | ტიროლი-ლინცერი | 1.75 | 1.70 |
| 12156 | აარაუ-ლუცერნი | 1.80 | 1.65 |
| 12157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 1.80 | 1.65 |
| 12158 | იანგ ბოიზი-თუნი | 2.10 | 1.45 |
| 12159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2.00 | 1.50 |
| 12160 | სიონი-ციურიხი | 1.75 | 1.70 |
| 12199 | ბრიუგე-სტ.ტრუიდენი | 2.00 | 1.50 |
| 12200 | დენდერი-ანდერლეხტი | 2.00 | 1.50 |
| 12202 | ბრიუსელი-გენტი | 1.85 | 1.60 |
| 12203 | გენკი-რუზელარე | 2.10 | 1.45 |
| 12204 | ლოკერენი-ბევერსხოტი | 1.75 | 1.70 |
| 12205 | მუსკრონი-მონსი | 1.80 | 1.65 |
| 12206 | ვარეგემი-ვესტერლო | 1.80 | 1.65 |
| 12207 | სტანდარდი-სერკლი | 2.10 | 1.45 |
| 12297 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 2.10 | 1.45 |
| 12298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 1.90 | 1.55 |
| 12299 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1.90 | 1.55 |
| 12300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.80 | 1.65 |
| 12301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 2.00 | 1.50 |
| 12302 | ოლბორგი-ოდენსე | 1.85 | 1.60 |
| 12311 | ჰამარი-ტრომსდალენი | 2.45 | 1.30 |
| 12312 | ჰონეფოსი-მოლდე | 2.00 | 1.50 |
| 12314 | მოსი-რაუფოსი | 2.20 | 1.40 |
| 12315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 2.10 | 1.45 |
| 12316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 2.45 | 1.30 |
| 12317 | სოგნდალი-ლოვ ჰამი | 2.20 | 1.40 |
| 12318 | სპარტა ს-ბრინი | 2.30 | 1.35 |
| 12322 | ელფსბორგი-გაის | 1.80 | 1.65 |
| 12323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.65 | 1.80 |
| 12324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.60 |
| 12325 | გეფლე-ტრელებორგი | 1.65 | 1.80 |
| 12326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 1.75 | 1.70 |
| 12327 | იორებრო-აიკ | 1.70 | 1.75 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10011 | ბლექბერნი-არსენალი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10012 | ფულემი-მიდლსბრო | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10013 | რედინგი-ევერტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10014 | ტოტენჰემი-დერბი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10015 | უიგანი-სანდერლენდი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10017 | სიტი-მანჩესტერი | 4.95 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10021 | ქოვენთრი-ჰალი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10025 | ქპრ-კარდიფი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10026 | სკანთორპი-ბარნლი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10027 | უესდი-ვულვერჰემპტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10028 | უოტფორდი-შეფილდი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10030 | სტოკი-ჩარლტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10081 | პართსი-გრეტნა | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10083 | რეინჯერსი-ფოლკირკი | 1.30 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.07 |
| 10084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10085 | აბერდინი-სელტიკი | 4.55 | 2.00 | 2.15 | 1.38 | 1.46 | 1.03 |
| 10101 | კარლსრუე-ჰანოვერი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10105 | ჰერტა-შტუტგარტი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10106 | შალკე-დორტმუნდი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10107 | ვერდერი-ბაიერნი | 4.05 | 2.00 | 2.30 | 1.33 | 1.46 | 1.06 |
| 10108 | კოტბუსი -ბოხუმი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10139 | ალტახი-ავსტრია კ | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10140 | მატერსბურგი-აუსტრია | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10141 | რაპიდი-ზალცბურგი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10142 | რიდი-შტურმი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10143 | ტიროლი-ლინცერი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.30 |
| 10156 | აარაუ-ლუცერნი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10158 | იანგ ბოიზი-თუნი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10160 | სიონი-ციურიხი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10199 | ბრიუგე-სტ.ტრუიდენი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10200 | დენდერი-ანდერლეხტი | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10202 | ბრიუსელი-გენტი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10203 | გენკი-რუზელარე | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10205 | მუსკრონი-მონსი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10206 | ვარეგემი-ვესტერლო | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10207 | სტანდარდი-სერკლი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10297 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10299 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10302 | ოლბორგი-ოდენსე | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10311 | ჰამარი-ტრომსდალენი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10312 | ჰიონეფოსი-მოლდე | 4.20 | 2.00 | 2.20 | 1.35 | 1.44 | 1.04 |
| 10314 | მოსი-რაუფოსი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10317 | სოგნდალი-ლოვ ჰამი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10318 | სპარტა ს-ბრინი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10322 | ელფსბორგი-გაის | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10325 | გეფლე-ტრელებორგი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10327 | იორებრო-აიკ | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ბლექბერნი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ფულემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | რედინგი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ტოტენჰემი-დერბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | უიგანი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | სიტი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ქოვენთრი-ჰალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ქპრ-კარდიფი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | სკანთორპი-ბარნლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | უესდი-ვულვერჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15028 | უოტფორდი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15030 | სტოკი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | აბერდინი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | კარლსრუე-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | არმინია-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ჰერტა-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | შალკე-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | ვერდერი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | კოტბუსი -ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | ალტახი-ავსტრია კ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | მატერსბურგი-აუსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | რაპიდი-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | რიდი-შტურმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ტიროლი-ლინცერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | აარაუ-ლუცერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | იანგ ბოიზი-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | სიონი-ციურიხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | ბრიუსელი-გენტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15205 | მუსკრონი-მონსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15206 | ვარეგემი-ვესტერლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15299 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15302 | ოლბორგი-ოდენსე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | ჰიონეფოსი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | მოსი-რაუფოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15317 | სოგნდალი-ლოვ ჰამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15318 | სპარტა ს-ბრინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | გეფლე-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15327 | იორებრო-აიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.45 | 2.40 |
| 14010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14011 | ბლექბერნი-არსენალი | 2.00 | 1.80 |
| 14012 | ფულემი-მიდლსბრო | 1.75 | 2.10 |
| 14013 | რედინგი-ევერტონი | 1.80 | 2.00 |
| 14014 | ტოტენჰემი-დერბი | 1.20 | 2.60 |
| 14015 | უიგანი-სანდერლენდი | 1.80 | 2.00 |
| 14016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.45 | 2.40 |
| 14017 | სიტი-მანჩესტერი | 2.40 | 1.45 |
| 14019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 1.70 | 2.20 |
| 14020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 1.45 | 2.40 |
| 14021 | ქოვენთრი-ჰალი | 1.30 | 2.50 |
| 14022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 1.65 | 2.30 |
| 14023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 1.75 | 2.10 |
| 14024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 1.75 | 2.10 |
| 14025 | ქპრ-კარდიფი | 1.80 | 2.00 |
| 14026 | სკანთორპი-ბარნლი | 1.80 | 2.00 |
| 14027 | უესდი-ვულვერჰემპტონი | 1.80 | 2.00 |
| 14028 | უოტფორდი-შეფილდი | 1.75 | 2.10 |
| 14029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 1.45 | 2.40 |
| 14030 | სტოკი-ჩარლტონი | 1.80 | 2.00 |
| 14080 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1.95 | 1.85 |
| 14081 | პართსი-გრეტნა | 1.08 | 2.90 |
| 14084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.80 | 2.00 |
| 14085 | აბერდინი-სელტიკი | 2.50 | 1.30 |
| 14101 | კარლსრუე-ჰანოვერი | 1.80 | 2.00 |
| 14103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 1.95 | 1.85 |
| 14105 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.00 | 1.80 |
| 14106 | შალკე-დორტმუნდი | 1.45 | 2.40 |
| 14107 | ვერდერი-ბაიერნი | 2.30 | 1.65 |
| 14108 | კოტბუსი -ბოხუმი | 1.80 | 2.00 |
| 14139 | ალტახი-ავსტრია კ | 1.85 | 1.95 |
| 14140 | მატერსბურგი-აუსტრია | 1.80 | 2.00 |
| 14141 | რაპიდი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14142 | რიდი-შტურმი | 1.80 | 2.00 |
| 14143 | ტიროლი-ლინცერი | 2.00 | 1.80 |
| 14156 | აარაუ-ლუცერნი | 1.75 | 2.10 |
| 14157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 1.80 | 2.00 |
| 14158 | იანგ ბოიზი-თუნი | 1.20 | 2.60 |
| 14159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2.00 | 1.80 |
| 14200 | დენდერი-ანდერლეხტი | 2.60 | 1.20 |
| 14202 | ბრიუსელი-გენტი | 2.30 | 1.65 |
| 14203 | გენკი-რუზელარე | 1.20 | 2.60 |
| 14204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 1.80 | 2.00 |
| 14205 | მუსკრონი-მონსი | 1.70 | 2.20 |
| 14206 | ვარეგემი-ვესტერლო | 1.85 | 1.95 |
| 14207 | სტანდარდი-სერკლი | 1.08 | 2.90 |
| 14297 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1.08 | 2.90 |
| 14298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 1.70 | 2.20 |
| 14300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.80 | 2.00 |
| 14301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1.30 | 2.50 |
| 14302 | ოლბორგი-ოდენსე | 1.85 | 1.95 |
| 14312 | ჰიონეფოსი-მოლდე | 2.40 | 1.45 |
| 14314 | მოსი-რაუფოსი | 1.30 | 2.50 |
| 14315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 1.70 | 2.20 |
| 14316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 2.60 | 1.20 |
| 14317 | სოგნდალი-ლოვ ჰამი | 1.30 | 2.50 |
| 14318 | სპარტა ს-ბრინი | 2.00 | 1.80 |
| 14322 | ელფსბორგი-გაის | 1.20 | 2.60 |
| 14323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.70 | 2.20 |
| 14324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.20 | 2.60 |
| 14325 | გეფლე-ტრელებორგი | 1.45 | 2.40 |
| 14326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 1.75 | 2.10 |
| 14327 | იორებრო-აიკ | 2.00 | 1.80 |

## გოლი: ლუწი-1 კენტი-2
(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ბლექბერნი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ფულემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17013 | რედინგი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ტოტენჰემი-დერბი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | უიგანი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17017 | სიტი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ქოვენთრი-ჰალი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ქპრ-კარდიფი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | სკანთორპი-ბარნლი | 1.85 | 1.95 |
| 17027 | უესდი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17028 | უოტფორდი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 1.85 | 1.95 |
| 17030 | სტოკი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | პართსი-გრეტნა | 1.85 | 1.95 |
| 17083 | რეინჯერსი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | აბერდინი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | კარლსრუე-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | არმინია-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ჰერტა-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | შალკე-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | ვერდერი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | კოტბუსი -ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ალტახი-ავსტრია კ | 1.85 | 1.95 |
| 17140 | მატერსბურგი-აუსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17141 | რაპიდი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17142 | რიდი-შტურმი | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ტიროლი-ლინცერი | 1.85 | 1.95 |
| 17156 | აარაუ-ლუცერნი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17158 | იანგ ბოიზი-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17160 | სიონი-ციურიხი | 1.85 | 1.95 |
| 17199 | ბრიუგე-სტ.ტრუიდენი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | დენდერი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17202 | ბრიუსელი-გენტი | 1.85 | 1.95 |
| 17203 | გენკი-რუზელარე | 1.85 | 1.95 |
| 17204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 1.85 | 1.95 |
| 17205 | მუსკრონი-მონსი | 1.85 | 1.95 |
| 17206 | ვარეგემი-ვესტერლო | 1.85 | 1.95 |
| 17207 | სტანდარდი-სერკლი | 1.85 | 1.95 |
| 17297 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1.85 | 1.95 |
| 17298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 1.85 | 1.95 |
| 17299 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1.85 | 1.95 |
| 17300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.85 | 1.95 |
| 17301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1.85 | 1.95 |
| 17302 | ოლბორგი-ოდენსე | 1.85 | 1.95 |
| 17311 | ჰამარი-ტრომსდალენი | 1.85 | 1.95 |
| 17312 | ჰიონეფოსი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17314 | მოსი-რაუფოსი | 1.85 | 1.95 |
| 17315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 1.95 |
| 17317 | სოგნდალი-ლოვ ჰამი | 1.85 | 1.95 |
| 17318 | სპარტა ს-ბრინი | 1.85 | 1.95 |
| 17322 | ელფსბორგი-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.95 |
| 17325 | გეფლე-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 1.85 | 1.95 |
| 17327 | იორებრო-აიკ | 1.85 | 1.95 |




# შტილი შტორმის წინ

## ვახტანგ ნაცვლიშვილი ფინეთამდე ისლანდიას ამბობს

**რამდენიმე დღეც და საქართველოს ნაკრებს გადამწყვეტი საკვალიფიკაციო მატჩები დაეწყება. კენ შილდსის გუნდი 21 აგვისტოს ლუქსემბურგთან შეხვედრით იწყებს B დივიზიონის C ჯგუფის მეორე წრეს. ქართველებმა ორი საერთაშორისო ტურნირი მოილიეს ბულგარეთსა და პორტუგალიაში, მთლიანობაში 8 სპარინგ-მატჩი გამართეს და ახლა მზადების ბოლო სტადიაში არიან. ჩვენი ნაკრები სამხრეთ საფრანგეთის მყუდრო ქალაქ პოშია დაბანაკებული და ლუქსემბურგში პირდაპირ იქიდან ჩავა. გუშინ ნაკრების კაპიტან ვახტანგ ნაცვლიშვილს საფრანგეთში შევეხმიანეთ და ახალი ამბები გამოვკითხეთ...**

**— ნიკა ცქიტიშვილი თუ შემოგიერთდათ?**

— არა, ისევ იმდენი ვართ, რამდენიც ვიყავით. 2 კვირის წინ ტაირონ ელისი რომ შეგვემატა და გიორგი მარკოიშვილი მოგვაკლდა, მას შემდეგ ცვლილება აღარ მომხდარა.

**— ვლადიმერ ბოისა ალბათ აღარ შეგემატებათ და რას იტყვი, სერიოზული დანაკლისია?**

— რა თქმა უნდა, ნიკას და ვოვას არყოფნა დიდი დანაკლისია, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას ვერასდროს ვახერხებდით, დანაკლისი ყოველთვის გვქონდა და გამონაკლისი არც ახლაა. ამისგან არავინაა დაზღვეული და ჩვენი მეტოქეებიც ალბათ იგივე სიტუაციაში იქნებიან — ზოგს ტრავმა ექნება, ზოგი ნაკრებში ვერ ან არ ჩავა და ასე შემდეგ.

**— მეტოქეები ახსენე და როგორ ფიქრობ, რომელი იქნება გადამწყვეტი მატჩი?**

— ყველა შეხვედრა გადამწყვეტია. ამ გადმოსახედიდან ხომ ისე ჩანს, რომ ფინეთია ჩვენი მთავარი კონკურენტი, მაგრამ შეიძლება, ისე მოხდეს, სკანდინავიელებთან მატჩს ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს. ფინელებთან ჯგუფის ბოლო შეხვედრას ვთამაშობთ და მანამდე ალბათ ყველაფერი გარკვეული იქნება. თუ ყველა თამაშს მოვიგებთ, შესაძლოა, ფინეთთან წაგებითაც გავიდეთ ჯგუფიდან. ყოველ შემთხვევაში, 10 ქულაზე მეტით მოგება საჭირო აღარ იქნება, რადგან საუკეთესო მეორე ადგილითაც გავალთ პლეი ოფში. ახლა მარჩიელობას აზრი არა აქვს. ყველა თამაშზე მოსაგებად უნდა გავიდეთ და ბოლომდე დავიხარჯოთ. ისლანდიაში შეხვედრა ალბათ ყველაზე სანერვიულო გაგვიხდება.

**— როგორ ფორმაში ხართ, როგორ შეაფასებ მომზადების დონეს?**

— ახლა ძნელია შეფასება, ყველაფერს მატჩები გამოაჩენს და ცუდ-კარგზეც მერე ვისაუბროთ.

**— კენ შილდსზე რას იტყვი, განსხვავდება გორდონ ჰერბერტისგან?**

— ძალიან განსხვავდება, მაგრამ რა შედეგს გამოიღებს მისი მუშაობა, მატჩები გამოაჩენს.

**— განვლილ მოსამზადებელ თამაშებზე რას იტყვი?**

— რა უნდა ვთქვა, მოსაგები მოვიგეთ და წასაგები წავაგეთ. პორტუგალიაში ფაჩულია გვაკლდა და ტუნისთან იმიტომ დავმარცხდით.

**— ინგლისის ნაკრებს ერთ მატჩი მოუგეთ, მაგრამ მეორეში დიდი სხვაობით წააგეთ. საიდან ასეთი განსხვავებული შედეგი?**

— პირველი მატჩის მოგების შემდეგ იყო გარკვეული მიზეზები, რის გამოც გაგვიჭირდა საბრძოლოდ მომართვა. ინგლისთან მეორე შეხვედრის შემდეგ სამდღიანი დასვენება გვქონდა და ყველას ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა თამაში. თანაც ძნელია, ერთ მეტოქესთან ზედიზედ ორი შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარო. რაც შეეხება პირველ მატჩს, შეგიძლია, ზუსტად ამ სიტყვებით დაწერო: მანუჩარ მარკოიშვილმა ჩიკაგოელ ლუოლ დენგს ხელი არ გაანძრევინა. ერთი ამბავი ატეხეს, ნბა-ს ვარსკვლავიო და ისე გამოვიდა, რომ დენგთან ვარსკვლავად მარკოიშვილი გამოჩნდა.

**ირაკლი ბერტაია**



# ახლა ალბი და ისევ ოში

**საფრანგეთში** მსოფლიოს თასის წინა შეკრებაზე მყოფი საქართველოს ნაკრები ხვალ საფრანგეთის რაგბის კავშირის ორგანიზებულ ტურნირზე ითამაშებს. უფრო ზუსტად, ტურნირი ხვალ კი იწყება, მაგრამ ქართველ „ლელოებს“ რაგბობა ზეგ მოუწევთ.

რეგულდა ტურნირს არმინ ვაკრენის თასი ჰქვია. ჩვენების გარდა მყუდრო ქალაქ სენტ-აფრიკში ელიტარული ფრანგული კლუბები „კასტრი“, „ალბი“, „ოში“, „აჟენი“, პროვალის პროვინციის, ალჟირელთა და ფიჯის ნაკრებები იასპარეზებენ.

ქართველებს ჯგუფურ ეტაპზე „ალბისთან“ და ფიჯის ნაკრებთან უნდა ეთამაშათ, მაგრამ ბოლო წუთს ტურნირის განრიგი შეიცვალა და ფიჯის მაგივრად „ლელოები“ „ოშს“ დაუპირისპირდებიან.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა უკვე მოასწრეს სამი სპარინგ-მატჩის გამართვა. იმავე „ოშთან“ და „აჟენის“ ახალგაზრდულ და ძირითად გუნდებთან ჩვენებმა სამივე შეხვედრა წააგეს.

# ამას დაპატიჟება ჰქვია?

## ქურციკებმა ნამიბიელებს ლელოები მიართვეს

15 აგვისტო. კეიპტაუნი

**სამხრეთ აფრიკა 105:13 ნამიბია**

ს. აფრიკა: მონტგომერი, ვილემსე (ნდუნგანე), ფური, დევილიე, პიტერსენი, ჯეიმსი (პინაარი), პრეეცი (ჯანუარი); კრონიე, ჟუან სმიტი, ბურხერი, მეთფილდი (კაპ) (ვანდერბერხი), ბ. ბოთა (მიულერი), ფან დერ ლინდე (ბიჯლი ბოთა), გ. ბოთა (პლესისი), ოზ დუ რანდტი

15ლ: დევილიე, ჟუან სმიტი (3), პიტერსენი, ბურხერი (3), ფური, დუ რანდტი, მონტგომერი, ვილემსე, პლესისი, პინაარი, ფან დერ ლინდე; 12გ: მონტგომერი; 2ს: მონტგომერი

ნამიბია: ბოკი, ლანგენხოვენი, ბოუთსი (ლოსპერი), ფანცილი, აფრიკა, ვესელსი (ხრობლერი), ტონდერი (ჯანტისი); ბურხერი, პლესისი (ლინველტი), ნიუვენხიუსი, ისტერხუიზენი, კაცომბიაცე, ვიზერი (რედენილხუიზი), ჰორნი, ლენსინხი (კაპ)

1ლ: ლანგენხოვენი; 1გ: ვესელსი; 2ს: ვესელსი

**მსოფლიოს** თასზე საქართველოს ნაკრების მთავარი და პრინციპული მეტოქე ნამიბია მეზობლად სამარცხვინოდ განადგურდა სამხრეთ აფრიკასთან.

ნამიბიელთა კაპიტანი ქის ლენსინხი, რომელიც სამი წლის წინ პრეტორიის „ბლუ ბულზს“ ახლდა თბილისურ ტურნეზე, მატჩამდე ამბობდა, რომ უფროსმა ბიძაშვილებმა ნამიბიელებს ფასდაუდებელი პატივი სცეს და ტესტ-მატჩზე დაპატიჟეს.

როდესაც სამხრეთ აფრიკა მესამე დონის გუნდს ტესტზე დაგპატიჟებს, მართლაც პატივია, მაგრამ ანგარიშიდან გამომდინარე, „ქურციკებს“ „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვა მსგავსი წიგნები წაკითხული არ უნდა ჰქონდეთ.

„ეს სრული კატასტროფაა, სამხრეთაფრიკელებმა სარაგბო გაკვეთილი ჩაგვიტარეს, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ჩვენ კი მართლაც არანორმალური შრომა მოგვიწევს, რომ მსოფლიოს თასზე არ შევრცხვეთ. საამისო დრო არის და დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება“ — იხტიბარს არ იტეხს გოლიათი ქის ლენსინხი.




ისე, ერთი თვის წინ რუმინეთში გამართული მსოფლიოს ერთა თასზე საქართველომ მეორე შემადგენლობით რომ მოუგო ნამიბიას, ლენსინხმა მაშინაც თქვა, მსოფლიოს თასზე სულ სხვა გუნდი ვიქნებითო.

იქამდე კი უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე ნამიბია შეთანხმებისამებრ, სამხრეთ აფრიკის ძირითად ნაკრებთან განადგურდა. „ქურციკების“ მწვრთნელის ჟაკ ვაიტის თქმით, მსოფლიოს თასზე იგი სწორედ ამ 22-კაცა რაზმს დაეყრდნობა. ოღონდ ერთი გამონაკლისით — ნამიბიასთან რვა ნომერზე ითამაშა ჟაკ კრონიემ, ვინც სამსოფლიოსთასო განაცხადშიც ვერ მოხვდა, მაგრამ რაკი აფრიკელთა შერკინების ძირითადი შემკვრელები პერი სპისი, ბობ სკინსტადი და დენი როსოუ ტრავმირებულები არიან, კრონიემ ისინი დროებით შეცვალა.

„ქურციკების“ უგამოცდილესი მორაგბეებისთვის ოზ დურანტისა და პერსი მონტგომერისთვის საკუთარი ქომაგის თვალწინ ეს ბოლო სანაკრებო მატჩი იყო, რაკი მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრებში თამაშს თავს ანებებენ.

მონტგომერიმ კი სულაც ეროვნული რეკორდი დაისაკუთრა, ერთ მატჩში ქურციკებს 35 ქულა მოუგროვა. აქამდელი რეკორდი ჯანი დე ბეერს ეკუთვნოდა, რომელმაც 1999 წლის მსოფლიოს თასის მეოთხედფინალში ინგლისს 34 ქულა დაასეტყვა.

**ბაჩო სვანიძე**



## 24-ე სტუდენტური უნივერსიადა

### ბანგკოკი, ტაილანდი. 8-18 აგვისტო

# აბსოლუტური ბრინჯაო

**მძიმეწონოსანი** ძიუდოისტი ადამ ოქრუაშვილი გუშინ მეორედ გავიდა ბანგკოკის ტატამზე და სამი დღის წინანდელზე უკეთესი შედეგი აჩვენა. შეგახსენებთ, მაშინ ქართველმა მსოფლიოს პრიზიორმა მძიმე წონაში ბრინჯაოს ბრძოლა წააგო და მეხუთეზე გავიდა. ამჯერად კი აბსოლუტურში მესამე ადგილი დაიკავა.

ოქრუაშვილი ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთო, მაგრამ უმალ მომავალი ჩემპიონის, იაპონელი სატოში იშის პირისპირ ამოჩნდა და წმინდად წააგო. ბრინჯაოს გზაზე ჩვენებურმა ოთხი მეტოქე ჩამოიცილა, ოთხივე იპონით. ჩინელი ფეი ვანგის, თურქმენი ჰუდაიბერდი საჰატოვის, უზბეკი ვიაჩესლავ პერეტეიკოსა და ბოსნიელი ამელ მეკიჩის ძლევას ადამმა ჯამში შვიდი წუთი აკმარა.

ვახტანგ ხოსიტაშვილი (60 კგ) პირველსავე წრეში უკრაინელ მაქსიმ კოროტუნთან დამარცხდა და რახან ეს უკანასკნელი ნახევარფინალამდე ვერავინ შეაჩერა, ქართველი რეპეშაჟში გადაერთო, მაგრამ იქ ფრანგმა ჯერემი კადოდიკმა შეაჩერა.

მხატვრულად ტანმოვარჯიშეებმა თათია დონაძემ და ქეთი ხატიაშვილმა გურზებით და ლენტით ვარჯიშში წინა დღის შედეგი (სახტუნელა და ბურთი) არა თუ გააუმჯობესეს, კიდევ უფრო უკან დაიხიეს. დონაძემ მრავალჭიდში მეცხრე ადგილიდან მეთორმეტეზე გადაინაცვლა, ხატიაშვილმა — მეთერთმეტედან მეთოთხმეტეზე.

უნივერსიადის დასრულებამდე ორი დღე რჩება. ქართველთაგან კი შეჯიბრს ისევ ძიუდოისტები დახურავენ. დღეს ამ სახეობაში გუნდური პირველობა ჩატარდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ადამ ოქრუაშვილი

# ტრავმები და სერბული ზეიმის კვალი




რაფაელ ნადალი მაჯამ დაალალატა

**კაცები**

**ცინცინატი. აშშ. მასტერსის სერია. ჰარდი. საპრიზო 2 200 000 $**

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ჟულიენ ბენეტუ (საფრანგეთი) 6:3 6:3; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 7:6 4:1 უარი; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (4, სერბეთი) 6:4 6:1; **ნიკოლაი დავიდენკო** (5, რუსეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:2 6:7 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ფერნანდო გონსალესი (6, ჩილე) 6:2 7:6; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — რიშარ გასკე (8, საფრანგეთი) 6:1 3:2 უარი; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (10, ჩეხეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:6 7:6; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (11, ხორვატია) 6:4 6:4; **სემ ქუერეი** (აშშ) — მიხაილ იუჟნი (12, რუსეთი) 5:7 6:3 6:4; **დავიდ ფერერი** (16, ესპანეთი) — რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი) 6:2 7:5; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:7 6:4 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:1 2:6 6:4; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — მარიო ანჩიჩი ხორვატია) 6:3 2:6 7:6.

სეზონის ბოლო სლემტურნირის დაწყებამდე ათიოდე დღით ადრე რაფაელ ნადალმა თავისი ძირითადი, მარცხენა ხელის ტრავმა მიიღო და ცინცინატური მასტერსი ნაადრევად დასრულა. რა სიმძიმის არის ეს ტრავმა და შეძლებს თუ არა მალიორკელი ჯადოქარი მეიჯორისთვის მწყობრში ჩადგომას, ალბათ რამდენიმე დღეში გაირკვევა.

ხელის ტრავმამ, უფრო სწორად კი ხელის გულზე გაჩენილმა ბებერამ შეაწყვეტინა თამაში ფრანგ რიშარ გასკესაც, თუმცა ნადალის არ იყოს, იმ დროისთვის ისიც უიმედოდ აგებდა ლეიტონ ჰიუიტთან.

აი, წინა კვირის გმირი ნოვაკ ჯოკოვიჩი კი ყოველგვარი ტრავმული ჩარევების გარეშე დამარცხდა. სერბი, როგორც ჩანს, ჯერაც ვერ გამოსულა მონრეალური ტრიუმფის ეიფორიიდან და ვეტერანმა ესპანელმა კარლოს მოიამ მას შანსი არ დაუტოვა.

ნადალი და ჯოკოვიჩი აღარ არიან და ძნელი სათქმელია, აწი ვინ დაუდგება წინ როჯერ ფედერერს, რომელმაც უპრობლემოდ დაჩოგნა ფრანგი ჟულიენ ბენეტუ.

**ქალები**

**ტორონტო. კანადა. ჰარდი. საპრიზო 1 340 000 $**

**მეორე წრე**

**ჟუსტინ ენენი** (1, ბელგია) — ანდრეა კლეპაჩი (სლოვენია) 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (27 სერბეთი) — მარია-ივ პელეტიე (კანადა) 6:0 6:1; **ძი იანი** (ჩინეთი) — ანა ივანოვიჩი (3, სერბეთი) 6:3 6:1; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — ანა ჩაკვეტაძე (5, რუსეთი) 7:6 2:0 უარი; **ნადია პეტროვა** (6, რუსეთი) — სტეფანი დიუბუა (კანადა) 6:7 6:2 6:1; **მარიონ ბარტოლი** (7, საფრანგეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:2 2:1 უარი; **ფრანჩესკა შიავონე** (იტალია) — ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) 6:7 6:3 6:2; **დინარა საფინა** (9, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:1 6:2; **პატი შნიდერი** (10, შვეიცარია) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:3 6:2; **ტატიანა გოლოვინი** (12, საფრანგეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:4 6:3; **სიბილ ბამერი** (13, ავსტრია) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:4 6:2; **მეგან შონესი** (აშშ) — ლუსი შაფაროვა (16, ჩეხეთი) 3:6 6:4 7:5; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 7:6 4:6 7:5.

ეტყობა, სერბებმა გვარიანად, მამა-პაპურად იციან გამარჯვების აღნიშვნა და მერე უჭირთ ხოლმე ჩვეულ კალაპოტში ჩადგომა. აბა, სხვას რას დავაბრალოთ, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩის დარადა ანა ივანოვიჩსაც პირველივე შეხვედრაში მოეცარა ხელი ლოსანჯელესური ტრიუმფის შემდეგ. მავან ჩინელ ძი იანთან ანას არანაირი შანსი არ ჰქონია და ეს, იმდენად ჩინელის დამსახურება არ გახლავთ, რამდენადაც სერბის უნიათო თამაშისა.

და, ისევ US OPEN-ისწინა ტრავმები — წლეულს ჩრდილოამერიკულ ჰარდზე მშვენივრად მოთამაშე რუსებმა ანა ჩაკვეტაძემ და მარია კირილენკომ თავიანთი მატჩების ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლეს და იმედია, სეზონის ბოლო სლემტურნირისთვის მწყობრში ჩადგომას მოასწრებენ.

**კახა ლოჩკოშვილი**

## უმორესმო ამერიკა



**მსოფლიოს** ყოფილი პირველი ჩოგანი, დიდი სლემის ტურნირების ორგზის გამარჯვებული ამელი მორესმო ამერიკის ღია პირველობაზე ვერ ითამაშებს.

ფრანგ დიაცს საზარდულის ტრავმა აწუხებს, თანაც მარტში გაკეთებული აპენდიციტის ოპერაციის შემდეგაც ბოლომდე მწყობრში ვერ ჩადგა და ამიტომაც იუარა ნიუ იორკში თამაში.

მორესმო ამ წუთისთვის მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანია და ამერიკულ მეიჯორზე კი, ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ის მინიმუმ მეოთხედფინალში გადიოდა.

## მიურეის ერთი კვირა



**დიდი ბრიტანეთის** საუკეთესო ჩოგბურთელი ენდი მიურეი ტრავმით გამოწვეული სამთვიანი უქმობის შემდეგ კორტებს ამ ორი კვირის წინ დაუბრუნდა, მაგრამ წარუმატებლად — მონრეალისა და ცანცანატის მასტერსებზე ჩატარებული სამი მატჩიდან ორი წააგო.

მომავალ კვირაში მიურეი ნიუ ჰევენის ტურნირზე გეგმავდა გამოსვლას, მაგრამ გადაიფიქრა — სჯობს, ეს ერთი კვირა ამერიკის ღია პირველობისთვის უკეთ მოსამზადებლად გამოვიყენოო.

„ის ჯერ არ არის მზად ნორმალურად სათამაშოდ. ის აგრძელებს მუშაობას და იმედოვნებს, რომ ამერიკული მეიჯორისთვის ფორმაში იქნება" — ნათქვამია ჩოგბურთელის ოფიციალურ საიტზე.

## რვა იღბლიანი

**სეზონის** ბოლო სლემტურნირის, ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებმა რვა „ვაილდ ქარდი" ჩამოარიგეს, ანუ რვა ისეთი ჩოგბურთელი მიიწვიეს ნიუ იორკში სათამაშოდ, რომლებსაც ეს პატივი რეიტინგით არ ეკუთვნით.

რვიდან შვიდი იღბლიანი ამერიკელია. მათ სიას სათავეში ახლახან ვაშინგტონში დასრულებული ტურნირის სენსაციური ფინალისტი ჯონ აიზნერი უდგას. აიზნერის გარდა ამ სიაში არიან ალექს კუზნეცოვი, ჯესი ლევინი, უეინ ოდესნიკი, რაიან სვიტინგი, დონალდ იანგი, მაიკლ მაკლინი და ავსტრალიელი ოლუნ ჯონსი.



ჯონ აიზნერი

**კახა ლოჩკოშვილი**

# შაფაქიძემ ბაბილონი დასცა

**ლადო ჩიხლაძემ** ITF-ის ევიდით გამართულ ტურნირებზე მიყოლებით მე-11 თამაში მოიგო. ორ თბილისურ ტურნირზე ტრიუმფის შემდეგ ლადომ მცირე ხნით შეისვენა და გერმანიას ესტუმრა, სადაც ამ დღეებში მიუნხენის სათიხნარო შეჯიბრში მონაწილეობს.

ბავარიაში ლადო პირველ ნომრადაა განთესილი და, როგორც ფავორიტს ეკადრება, ისე დაიწყო — რეიტინგში 1175-ე ადგილზე მყოფ მასპინძელ ალექსანდერ ბაჯინის 6:2 6:4 აჯობა.

მეორე წრეში ჩიხლაძის მეტოქე კიდევ ერთი გერმანელი, 19 წლის მარკ ზიბერი იქნება, ვისაც ATP-ს კლასიფიკაციაში 716-ე პოზიცია უკავია.

გერმანიაშივე, ოლდენდაც ბილეფელდის თიხნარზე წარმატებით დაიწყო თამაში მანანა შაფაქიძემ, რომელმაც 10-ათასიანი შეჯიბრის პირველ წრეში მასპინძელი ჯულია ბაბილონი 6:3 6:4 დასცა. შაფაქიძის მეორე მეტოქე მე-8 ნომრად განთესილი გრძელსახელიანი რუმინელი ანამარია-ალექსანდრა სერეა, ვისაც WTA-ს რეიტინგში 628-ე ადგილი უჭირავს.

აი, რუსეთში კი, პენზაში მიმდინარე 50-ათასიან ტურნირზე პირველივე წრეში დამარცხდა სოფო შაფათავა. სოფო ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებული თამაშის წყალობით მოხვდა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო — მე-3 ნომრად განთესილ და კლასიფიკაციის 263-ე საფეხურზე მყოფ რუს ანა ლაპუჩენკოვასთან 4:6 1:6 წააგო.



# სტუდენტიც ასეთი უნდა!



იულია კრევსუნმა (შუაში) ტაილანდში ყველა გაიოცა

**მსოფლიო** სტუდენტური უნივერსიადა! იცოცხლეთ, მთლად ოლიმპიადასავით ჟღერს, მაგრამ თავადაც მიხვდებით, რომ უნივერსიადას ძალიან ბევრი უკლია ოლიმპიადამდეც და მსოფლიოს ჩემპიონატამდეც. და იშვიათად, რომ ასეთი გაქანების ტურნირზე ქვეყნებმა მართლაც ძლიერი და გამორჩეული სპორტსმენები მიავლინონ.

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში მიმდინარე რიგით 24-ე უნივერსიადაზე სხვათა დარად არც უკრაინას გაუგზავნია უძლეველთა ლაშქარი. ერთ-ერთი მათი „სტუდენტი" იულია კრევსუნი უკვე 27 წლისაა და არაერთ ცნობილ სამძლეოსნო ტურნირზე ურბენია თავისი 800 მეტრი, თუმც განსაკუთრებული წარმატების გარეშე და ბანგკოკშიც ამად წაიყვანეს, იქნებ იქ მაინც გაიხსნასო. გაიხსნა, და მერე როგორ, თითქოს მაინცდამაინც თავისზე სუსტებთან შეჯიბრს უცდისო, იულიამ გადასარევად ირბინა და 800 მეტრზე, არც მეტი, არც ნაკლები, სეზონის საყოველთაო რეკორდი გამოაცხო.

მოგეხსენებათ, 800 მეტრი ორი წრეა მოედნის გარშემო. კრევსუნმა პირველი წრე ძალიან სწრაფად, 56,17 წამში გაირბინა და ამ შედეგმაც ალბათ უფრო შეასხა ფრთები. მეორეზეც, თუმცა გადაღლილი იყო, თავი მოიკლა, მთელი დისტანცია 1 წუთსა და 56,17 წამში დაფარა და რუსი ოლგა კოტლიაროვას სეზონის რეკორდს 0,51 წამი მოაკლო, ამასთან მთელი ორი წამით გააუმჯობესა პირადი რეკორდი, რომელიც წლეულს დაუმყარებია. რაც შეეხება მსოფლიო რეკორდს, კრევსუნს იქამდე ძალიან ბევრი უკლია — 1983 წელს მიუნხენში ჩეხოსლოვაკიელმა იარმილა კრატოხვილოვას 1.53,28 შედეგს ოც წელზე მეტია, ამაოდ უტევენ მსოფლიოს უძლიერესი 800-მეტროსანი ქალები, მათ შორის ძუ ავაზად წოდებული, მამაკაცის აღნაგობის მქონე მოზამბიკელი მარია მუტოლა.

# ბერეზოვსკის საოლიმპიადო მუგუზალი

**ქარის** მოტანილს ქარი წაიღებსო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სოჭის „თეთრ ოლიმპიადას“ სწორედ ასე დაემართება. მაგრამ, მოდით, ჯერ პეკინის „მწვანე თამაშებისა“ ვთქვათ, რაკი მათ შორის გარკვეული პარალელები ნათლად იკვეთება.

ამას წინათ ჩინეთის დიდ კედელთან მოწყობილი ტიბეტის თავისუფლებისთვის მებრძოლთა აქციის შემდეგ ერთ-ერთი ორგანიზაციის („სტუდენტები ტიბეტის თავისუფლებისთვის“) დირექტორატის წარმომადგენელმა თენცინ დორჯიმ განაცხადა, ჩინეთის ხელისუფლება ოლიმპიურ თამაშებს დიდი „დერჟავის“ რანგში დასამკვიდრებლად იყენებს, მაგრამ მას მსოფლიოს ლიდერად გადაქცევა არ უწერია მანამ, სანამ ტიბეტის დაუნდობელი ოკუპაცია გრძელდებაო.

ახლა თენცინ დორჯის ნათქვამში ჩინეთი რუსეთით, ტიბეტი კი აფხაზეთითა და სამაჩაბლოთი რომ შევცვალოთ, ამით რა შეიცვლება? რუსეთმა იქნებ კიდევ ერთხელ აღიაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ბრმისთვისაც ხომ ნათელია, რომ ამ ქვეყნის სიტყვა და საქმე სხვადასხვა პოლუსზეა.

ჰოდა, ახლა საოლიმპიადოდ საქართველოში რუსეთისთვის ცეცხლის შენთებას რომ ვცდილობთ, ბორის ბერეზოვსკი ლონდონიდან თავის მუგუზალს გვაშველებს და ამბობს, რუსეთში თუ დღეს არსებული რეჟიმი 2014 წლამდე გასტანს, მაშინ სოჭის ოლიმპიადა ჩაიშლებაო. ამის თაობაზე, როგორც საინფორმაციო სააგენტო „როს ბალტ-უკრაინა“ იუწყება, ბორის ბერეზოვსკიმ კიევის ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოს ლონდონიდან პირდაპირი ტელეხიდის მსვლელობისას განუცხადა.

„პოლიტიკაში სპორტის როლი კარგადაა ცნობილი — სპორტი იმავდროულად დიდი პოლიტიკაცაა. ოლიმპიადა რუსეთის სამხრეთის განვითარებისთვის კარგი ეკონომიკური იმპულსი იქნება — ამბობს რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი და პარალელისთვის მოსკოვის ოლიმპიადას იხსენებს — როცა ცივილიზებულმა სამყარომ საბჭოეთის ავტორიტარული რეჟიმი დაგმო, მან მოსკოვის ოლიმპიადა უგულებელყო. და თუ რუსეთში დღეს არსებული რეჟიმი 2014 წლამდე გაძლებს, ვფიქრობ, რომ ისტორია განმეორდება და სოჭის ოლიმპიადა ჩაიშლება“.

**ავთანდილ ბყვიმელი**





# ყოფნა-არყოფნის საკითხი ცაბელის კარიერაში

**ვეტერანი** გერმანელი მრბოლი ერიკ ცაბელი, რომელიც ამ წუთისთვის თავის გუნდ „მილრამთან“ ერთად „გერმანიის ტურზე“ გამოდის, იმედოვნებს, რომ გერმანიის ველოფედერაციის შეფები და ნაკრების მწვრთნელები შეიყვანენ 26-30 სექტემბერს შტუტგარტში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა სიაში.

ცაბელს, ვისაც თავის დროზე ექვსჯერ მოუგია „ტურ დე ფრანსის“ საუკეთესო სპრინტერის სარგო მწვანე მაისურა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორჯერ — 2004 და 2006 წლებში ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული და სურს, კარიერის ბოლოს ოქროსაც შეწვდეს.

გერმანიის ველოფედერაციამ გადაწყვეტილება აგვისტოს ბოლოს უნდა მიიღოს. შეგახსენებთ, რომ ამ სამი თვის წინ ცაბელმა აღიარა, გასული საუკუნის 90-იან წლებში დოპინგს, კერძოდ კი ერიტროპოეტინს ვიღებდიო. გერმანიის ველოფედერაციის რეგლამენტით კი, მრბოლს, რომელიც არათუ ბრალდებული, ეჭვმიტანილია დოპინგის ხმარებაში, ეკრძალება წარმოადგინოს თავისი ქვეყანა საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

„ეს ორი კვირა, რომლის განმავლობაშიც მიიღებენ გადაწყვეტილებას ჩემი ნაკრებში შეყვანა-არშეყვანის შესახებ, უმთავრესი იქნება ჩემს კარიერაში“ — განუცხადა 37 წლის ცაბელმა ფრანგ ჟურნალისტებს.

მრბოლის აღიარებამ მას პრობლემები შეუქმნა „მილრამშიც“. იტალიური ველოგუნდის თავკაცებმა განაცხადეს, რომ კონტრაქტი ცაბელთან, რომელიც 2008 წლის ბოლომდეა გათვლილი, შეიძლება გადაიხედოს და წლევანდელი სეზონის ბოლოს ნაადრევად შეწყდეს.

„ნამდვილად არ მინდა, რომ კონტრაქტი დროზე ადრე შეწყდეს. კარიერის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ და თანაც, მომწონს „მილრამის“ სახელით რბოლა“ — თქვა ცაბელმა და ისიც დაამატა, თუ იტალიელები მაინც შემიწყვეტენ კონტრაქტს, მაშინ შევეცდები, ისევ გერმანულ „T-მობაილში“ დავბრუნდე, რომლის ღირსებასაც მთელი 13 წელი ვიცავდიო.

# მეექვსე გერმანული




**რიგით** მე-10 „გერმანიის ტურის“ მე-6, 175-კილომეტრიანი ეტაპი, რომელიც ლანგენფელდიდან კუფშტეინამდე იყო გაჭიმული, „T-მობაილის“ გერმანელმა მრბოლმა გერალდ გიოლეკმა მოიგო. დისტანციის გავლას მან 3 საათი, 57 წუთი და 40 წამი მოანდომა და ფინიშთან ჯგროდ მისულ კონკურენტებს ბოლო მეტრებზე აჯობა.

საერთო ჩათვლაში წინ კვლავაც დანიური CSC-ის გერმანელი იენს ფოიგტია, ვინც 33 წამს უგებს „კაისე დეპარნის“ ესპანელ მრბოლ დავიდ ლოპეს გარსიას.

# მთის კაცი ესპანეთში

**ესპანეთში** დაიწყო უაღრესად პრესტიჟული, [illegible] „ბურგოსის ვუელტა“, რომელშიც წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ თავგამოჩენილი მრავალი მრბოლი იღებს მონაწილეობას.

პირველი, 150-კილომეტრიანი ეტაპი ტრეკზე რბოლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რუსმა მიხაელ იგნატიევმა („ტინკოფი“) მოიგო, რომელმაც 34 წამით აჯობა უახლოეს მდევრებს, ესპანელებს — დანიელ მორენო ფერნანდესსა და ალეხანდრო ვალვერდეს.

მეორე, 149-კილომეტრიან სამთო ეტაპზე კი საუკეთესო იყო „ტურ დე ფრანსის“ პირველი სამთო მრბოლი, ინგლისური „ბარლვორლდის“ კოლუმბიელი ხუან მაურისიო სოლერი. ესპანელები — პანადერო და გომესი კოლუმბიელს 17-17 წამით ჩამორჩნენ, ხოლო ვალვერდემ გამარჯვებულთან 42 წამი წააგო და მეხუთე ადგილი დაიკავა.

სოლერი ლიდერობს გენერალურ კლასიფიკაციაშიც, პირველი ეტაპის მომგები იგნატიევი კი მთებში უიმედოდ ჩამორჩა და საბოლოო წარმატებაზე ხელი ჩაიქნია.

# აუტანელი ასტანა



**ველოსიპედისტთა** საერთაშორისო კავშირის (UCI) ირლანდიელმა პრეზიდენტმა პეტ მაქუეიდმა განაცხადა, რომ ბოლო ხანებში გახმაურებული დოპინგსკანდალების შემდეგ, არ არის გამორიცხული, შვეიცარიაში დარეგისტრირებულ ყაზახურ ველოგუნდ „ასტანას“ „პროტურის“ ლიცენზია ჩამოართვან.

23 აგვისტოს UCI-ის საბჭოს თავმჯდომარე ვიტორიო ადორნი „ასტანას“ გენერალურ მენეჯერ მარკ ბივერს შეხვდება და ამ შეხვედრისას გაირკვევა კიდეც გუნდის მომავალი.

# უნიბეთი ველოთი აღარ ითამაშებს

**ამერიკული** „დისქავერის“ შემდეგ კიდევ ერთი ველოგუნდი წყვეტს არსებობას. შვედურ „უნიბეთს“ „დისქავერივით“ სახელი არა აქვს, მაგრამ ეს უკვე ტენდენციაა — ველოსპორტში ფულის ჩადებას ერიდებიან.

ონლაინთამაშების ბიზნესის მქონე შვედური ინტერნეტკომპანია „უნიბეთის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ წლის ბოლოს გუნდი დაიშლება და მრბოლებსა და გუნდის თანამშრომლებს აქედანვე შეუძლიათ ახალი სამსახურის ძებნა რომ დაიწყონ.

ისიც სათქმელია, რომ „უნიბეთს“ წლეულს „ჯირო დიტალიაზე“ და „ტურ დე ფრანსზე“ გამოსვლის ნება არ მისცეს და გუნდის დაშლას ამანაც მისცა ბიძგი.

# ჩვენი ოზები ჩვენთან




**სრულიად** საწინააღმდეგო და ველოსპორტის ქომაგებისთვის სასიხარულო ამბავი — ამერიკელებისა და შვედებისგან განსხვავებით, ავსტრალიაში სწორედ ახლა ალაპარაკდნენ გუნდის შექმნაზე.

ბოლო წლებში ავსტრალიელმა მრბოლებმა — რობი მაკივენმა, კედელ ევანსმა, სტიუარტ ოგრეიდიმ, მაიკლ როჯერსმა და სხვებმა საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიეს და ფულიანი თანამემამულეების დაინტერესებაც გამოიწვიეს.

„პრო ციკლინგ აუსტრალია“ — ასე ერქმევა ახალ გუნდს, რომლის ბიუჯეტი უახლოესი ოთხი წლის მანძილზე 16,6 მილიონი დოლარი იქნება და რომელიც 2009 წლის „ტურ დე ფრანსზე“ გამოსვლას გეგმავს.

როგორც ცნობილი გახდა, ყველა სახელიანმა ოზმა მრბოლმა თანხმობა განაცხადა მშობლიური ქვეყნის გუნდში გადასვლაზე და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევანსიან-ოგრეიდიან-მაკივენიან-როჯერსიანი გუნდი უაღრესად სერიოზული ძალა იქნება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge